საბჭოთა საქართველომ წარმატებით დაამთავრა პირველი ბოლშევიკური ხუთწლედი

წელიწადი მეცამეტე

ფასი № 10 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: [illegible] რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოსი 10—58, მთ. კანტორის—8—81.

შაბათი,
25
თებერვალი
1933 წ.
№ 47 (3603)

თავისი არსებობის 12 წლის თავს ის ხვდება უდიდესი მიღწევებით სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე

გაუმარჯოს სოციალისტურ გამარჯვებათა ორგანიზატორს—საქართველოს კომპარტიას

მეთორმეტე წლის თავი

განვლილი 12 წელი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ — ესაა ბრძოლისა, აღმშენებლობისა და შემოქმედების წლები ეკონომიური, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში და სფეროში; ესაა წლები პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანოების შემოქმედებითი აღმშენებლობითი და აღმზრდელი მუშაობისა საქართველოს მშრომელი მასების (მუშების, კოლმეურნეების და საშუალო და ღარიბი გლეხების) გასათვითცნობიერებლად, შესაკავშირებლად და ორგანიზაციულად დასარაზმავად სოციალიზმისათვის ბრძოლის წარმატებით საწარმოებლად; ესაა წლები ჩამორჩენილი და დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი სოციალისტური გზით განვითარებისა და წარმატებისათვის; ესაა წლები ბრძოლისა წინანდელი მონური, დაჩაგრული ცხოვრების ყოველგვარ ნაშთების (ცრუმორწმუნეობის, რელიგიის, მავნებელ ზნე-ჩვეულებათა და სხვ.) წინააღმდეგ; და დასასრულ, ესაა წლები ბრძოლისა ერთაშორის ნამდვილი ძმური სოლიდარობის განსამტკიცებლად.

თორმეტი წელიწადი საბჭოთა ცხოვრებაში მთელი ეპოქაა. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მშრომელნი საგრძნობლად დაშორდენ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ სახელმწიფო და სოციალურ წყობილებას; ამავე დროს იმათ ბოლო მოუღეს მენშევიკურ - ბურჟუაზიულ - შოვინისტურ მემკვიდრეობას, რაც გამოიხატებოდა უპირველეს ყოვლისა ქართველი ერის დიდმპყრობელურ პოლიტიკის გატარებაში სხვა ერთა მიმართ, განსაკუთრებით მძულვარების, მტრობის და შუღლის შექმნაში და გაძლიერებაში იმათ მიმართ. საბჭოთა ხელისუფლებამ დაუვიწყარი **ლენინის** გენიოსურ მითითებების საფუძველზე ეროვნული საკითხის დარგში, და **ლენინური პარტიის** ხელმძღვანელობით ამხ. **სტალინის** მეთაურობით, უკვე შესძლო იმ სამარცხვინო და არა ადამიანურ გრძნობათა აღმოფხვრა, რომელთა სახელია მძულვარება, მტრობა და შუღლი სხვადასხვა ეროვნებათა მშრომელთა შორის. ესაა უდიდესი მიღწევა. და ეს შეიძლო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, პროლეტარიატის დიქტატურას, კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით.

მთელი საბჭოთა კავშირის და ა.-კავკასიის სახალხო მეურნეობასთან ერთად, სრულიად გადახალისდა და გარდაიქმნა საქართველოს სახალხო მეურნეობაც. საქართველოს სოციალისტური სახალხო მეურნეობა შედის ერთ მთლიან საბჭოთა კავშირის სოციალისტურ სისტემაში, და იმავე დროს ის წარმოადგენს განსაზღვრულ ერთეულს თავისი ადგილმდებარეობის და ჰავის პირობების მიხედვით.

კერძოდ საქართველოს **სოციალისტური მრეწველობა** სულ მთლად შექმნილი და ხასაზრდოებია საბჭოების ხანაში. ამას მოწმობენ მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ახალი ქარხანა - ფაბრიკები (მაუდის ფაბრიკები ტფილისში და ქუთაისში), ცემენტის ქარხანა (კასპში), აგარის შაქრის ქარხანა, ფერო - მარგანეცის ქარხანა ზესტაფონში, მშენებლობის პროცესში არსებული ქაღალდის ფაბრიკები (ზუგდიდი, კახეთი) და სხვ. მე არ ვამბობ რამდენიმე ათეულ უფრო პატარა ქარხნებზე, თუ ფაბრიკებზე (აბრეშუმის სახვევი და საქსოვი ფაბრიკები, საკონსერვო ფაბრიკები (გორში, ქუთაისში) და სხვადასხვა, რომელთა ჩამოთვლა აქ საჭიროდ არ მიმაჩნია. არც ერთი ამათგანის ხსენებაც კი არ იყო ამ 10—12 წლის წინედ. დაუმატეთ ამას ჰიდროელექტრონული სადგურები, როგორც დამთავრებულნი (ზაჰესი, აბჰესი), ისე დაუმთავრებელნი (რიონჰესი, აჭარჰესი, ალაზანჰესი) რომლებიც სულ ცოტა ხანში უნდა ამუშავდენ. ამას უნდა დაემატოს ქვანახშირის წარმოების (ტყიბული, ტყვარჩელი) გადიდება - გაფართოება გაუმჯობესებული ტეხნიკის საფუძველზე. ბოლოს ახლად წამოწყებული და ფართოდ გაშლის საფუძველზე დაყენებული საქართველოს ნავთის მრეწველობა (შირაქი, მირზაანი, და სხვ.), რომელმაც წელს უკვე უნდა მოგვცეს ყოველ ეჭვს გარეშე სამრეწველო ნავთი და, რომლისთვისაც წელს გადადებულია 15 მილ. მანეთი.

მრეწველობის გვერდით და მასთან მჭიდროდ დაკავშირებით სრულიად ახალ საფუძველზე დაყენებულია **სოფლის მეურნეობა.** საფუძველი სოფლის მეურნეობისა ძირიანად გამოიცვალა; არა თუ აღმოფხვრილია ბატონყმობის და მემამულური მეურნეობის ნაშთები, არამედ ჩაყრილია მკვიდრი საძირკველი **სოფლის მეურნეობის სოციალისტურად მოსაწყობად და განსავითარებლად.** (კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები). სოციალისტური სოფლის მეურნეობა შეუძლებელი იყო დამყარებულიყო მრავალრიცხოვან დაქუცმაცებულ წვრილ გლეხურ მეურნეობებზე, რაც არ იძლეოდა არავითარ შესაძლებლობას; რაიმე გაუმჯობესებათა, ან გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღების შეტანისათვის სოფლის მეურნეობაში, ტრაქტორებს და კომბაინებს, რომ თავი დავანებოთ. აქ ორი გზა იყო: ან ისევ ძველი ყვლეფის და ჩაგვრის გზა, სხვილი კაპიტალისტური და მემამულეების მეურნეობისა, ან ახალი გზა, — ის გზა, რომელიც დაიწყო **ოქტომბრის რევოლიუციით,** რომელიც გვიჩვენა ჩვენმა უდიდესმა მასწავლებელმა და მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესმა ბელადმა **ლენინმა, და** მისმა საუკეთესო მოწაფემ და თანამებრძოლმა ამხ. **სტალინმა** — გზა, ამხანაგური, შეკავშირებული კოლექტიური შრომის მრავალმილიონ გლეხებისა, რომლებიც დაქსაქსული იყვენ და რომლებიც მდიდარ გლეხებს ანუ კულაკებს ასაზრდოებდენ და აძლევდენ საშუალებას თავიანთ გასაყვლეფად. ესაა კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა გზა. გამოცდილებამ მთელს საბჭოთა კავშირში ნათლად დაგვიმტკიცა, რომ სოფლის მეურნეობის იმ ახალმა სოციალისტურმა ფორმებმა უკვე გაიმარჯვეს როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე ჩვენშიაც. უკან დაბრუნების, ანუ მემამულურ და კაპიტალისტურ ექსპლოატატორულ გზისაკენ დაბრუნების შესაძლებლობა, გლეხს, როგორც კოლმეურნეს, ისე ერთპიროვნულ ღარიბ და საშუალო გლეხს, უკვე დაკეტილი აქვს, როგორც საუცხოოდ გამოთქვა ამას წინად **ამხ. სტალინმა.** მაგრამ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გადაყვანა და მისი შემდგომი განვითარება შეუძლებელი იყო წინანდელ წარმოების დაბალ საფუძველზე, სახნისზე და თოხზე დაყრდნობით; აუცილებლად საჭირო იყო ძველი ჩამორჩენილი ტეხნიკის უკუგდება. იმ ტეხნიკის, რომელიც წარმოების ძველ, ერთპიროვნულ, წვრილ და, დაქუცმაცებულ წარმოების წესთან იყო დაკავშირებული და მაზე დამოკიდებული, და ახალი, გაუმჯობესებული მანქანა - იარაღების, ტრაქტორების და კომბაინების შეტანა სოფლის მეურნეობაში. და ეს ასეც მოხდა. ყველაზე უფრო დამახასიათებელია დღევანდელ საქართველოს სოფლის მეურნეობაში **სამანქანო - სატრაქტორო სადგურები** (რიცხვით ჯერ 26). თუ საერთოდ სასოფლო - სამეურნეო იარაღების და ტრაქტორების გავრცელება სოფლის მეურნეობაში ნიშნავდა დიდ ნაბიჯს სოფლის მეურნეობის გარდაქმნისაკენ, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უკვე მოასწავებენ ნამდვილ რევოლიუციას ამ მხრით.

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სატრაქტორო - სამანქანო სადგურები თავისი მრავალრიცხოვან ტეხნიკოსებით, აგრონომებით, ტრაქტორისტებით და სხვადასხვა. უკვე ქმნიან **ნამდვილ გარდატეხას** ძველი საქართველოს ძველი დახავსებული და მშრომელი გლეხობის გაყვლეფის საფუძველზე დამყარებული სოფლის მეურნეობის საბოლოოდ მოსპობისათვის და ამ მეურნეობის სოციალისტურად მოწყობისათვის; ამნაირად სოციალისტური მეურნეობისათვის არა თუ შექმნილია წინასწარი პირობები, არამედ უკვე გადადგმულია ამ გზაზე გადამწყვეტი ნაბიჯები. პარტიის, საბჭოების, პროფკავშირების. ყველა ორგანოების, ყველა დაწესებულებების და ყველა ორგანიზაციების მთელი ყურადღება მიქცეულია იმისაკენ, რომ ყოველი მხრით, სიტყვით და საქმით უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის საბოლოოდ სოციალისტურად გარდაქმნა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა დაკავშირებულია ძირითად ცვლილებების შეტანასთან ამ მეურნეობაში სასოფლო - სამეურნეო კულტურების მხრით; ამ დარგშიაც საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა უდიდესი გარდატეხა. საქართველო თავისი ბუნებრივი პირობებით; ჰავით, მაღალ ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურების ქვეყანაა. წარსულში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ეს საქმე თითქმის სრულიად დავიწყებული იყო. გარდა მარცვლოვან კულტურებისა, მესაქონლეობისა და მებაღეობა - მევენახეობისა, სხვა უფრო მაღალ ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურების მხრით კი აქ მხოლოდ ჩანასახი თუ იყო სადმე, რაც ქვეყნის ეკონომიკაში სრულებით არავითარ როლს არ თამაშობდა. ახლა, მეთორმეტე წლის თავზე, თუ ჩვენ გადავხედავთ საქართველოს სოფლის მეურნეობას, ჩვენ დავინახავთ სასოფლო - სამეურნეო კულტურების მხრითაც მდგომარეობა ძირიანად გამოიცვალა. მარცვლეულ კულტურების და ბაღ-ვენახების გვერდით ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი მაღალ ტეხნიკურ, სპეციალურ და, სუბტროპიკულ კულტურებს, რომლებიც, უკვე თამაშობენ შესამჩნევ როლს საქართველოს ეკონომიკაში; განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ მხრით **ჩაის კულტურის** განვითარება, რომლის ფართობი 1933 წელში უთუოდ გადააჭარბებს 30.000—35.000 ჰექტარს, ხოლო მეორე ხუთწლედის განმავლობაში ჩაის კულტურა საქართველოში გაიზრდება იმდენად, რომ ის ძირითადად უზრუნველყოფს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას. სხვა მნიშვნელოვან კულტურების შესახებ, რომლებიც ამ უკანასკნელ დროს იქნენ შემოღებული, აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

თავის თავად უნდა იგულისხმებოდეს, რომ ასეთ ძირითად და არსებით ცვლილებათა მოხდენა სოფლის მეურნეობაში, და ისიც ესოდენ მოკლე ხნის განმავლობაში, შეუძლებელი იყო, რომ სრულიად უმტკივნეულოდ და უშეცდომებოდ, ჩატარებულიყო. არასოდეს და არსად არც ერთი დიდი ცვლილება ეკონომიურ ცხოვრებაში არ ჩატარებულა უმტკივნეულოდ და უშეცდომებოდ, რადგანაც ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იყო უდიდეს დაბრკოლებათა და სიძნელეთა გადალახვა და დაძლევა; და საბჭოთა ხელისუფლებას ხომ კიდევ უფრო ძლიერ დაბრკოლებათა და სიძნელეთა გადალახვა და დაძლევა უხდებოდა. ყველა მტრულად განწყობილი კლასების ნარჩენები; მათი იდეოლოგები და დამცველები, სასტიკ წინააღმდეგობას უწევდენ და, უწევენ ყველა იმ უდიდეს ცვლილებათა გატარების დროს, რაც ჩვენ ზევით დავასახელეთ. ყოველივე ეს ტარდებოდა და ტარდება ცხოვრებაში გააფთრებულ და გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლის პირობებში. ეს ბრძოლა კაპიტალისტების და მემამულეების კლასების ნაშთებთან ჯერ კიდევ ოდნავაც არ შეჩერებულა; მაგრამ ბოლშევიკების პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლეს ყველა ამ მტრულ ელემენტების მენშევიკების, ტროცკისტების და სხვა კონტრ - რევოლიუციურ ჯგუფების, თუ ორგანიზაციების დაძლევა და იმათ წინააღმდეგ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვების მიღწევა;

ამხ. სტალინმა, თავის ისტორიულ მოხსენებაში საკავშირო კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის და ცენ. კომისიის იანვრის გაერთიანებულ პლენუმზე ასეთი საკითხი დააყენა: „სადაც ის ძირითადი ძალები, რომლებმაც უზრუნველყვეს ეს ისტორიული გამარჯვება, მიუხედავად ყველა ამისა“ რომელზედაც მანვე ასე უპასუხა: „ესაა, უწინარეს ყოვლისა, **აქტივობა და თავგანწირულობა,** მუშების და კოლმეურნეების მილიონიან მასების **ენტუზიაზმი და ინიციატივა,** რომლებმაც საინჟენერო - ტეხნიკურ ძალებთან ერთად განავითარეს კოლოსალური ენერგია სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის გაშლაში... ესაა, მეორედ, **პარტიის** და **მთავრობის** მტკიცე ხელმძღვანელობა, რომლებიც მოუწოდებდენ მასებს წინ და, რომლებიც სძლევდენ ყოველგვარ სიძნელეებს მიზნისაკენ, მიმავალ გზაზე. ბოლოს, ესაა **საბჭოთა სისტემის მეურნეობის** განსაკუთრებული ღირსებები და უპირატესობები, რომელშიაც ინახებიან კოლოსალური შესაძლებლობანი, რაც საჭიროა ყოველივე და ყოველგვარი სიძნელეების დასაძლევად. ასეთია **სამი ძირითადი ძალა,** რომლებმაც განსაზღვრეს საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვებაო“. ცხადია, რომ ისევე ძალები უზრუნველყოფენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებებს მომავალშიაც.

დიდი და უდიდესია საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოპოვებული გამარჯვებები და მიღწევები განვლილი 12 წლის განმავლობაში. შემდეგ გამარჯვებების მოსაპოვებლად ჩვენ წინაშე მეთორმეტე წლის თავზე წამოყენებულია დამატებით წინანდელ ამოცანებთან ერთად, რომლებიც ძალაში რჩებიან, კიდევ **განსაკუთრებული ამოცანები.**

უწინარეს ყოვლისა სოციალისტური მრეწველობის დარგში: ახალი ქარხნებისა და ტეხნიკის ათვისება, გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის **თვითღირებულების შემცირება** და თვით პროდუქციის **ხარისხის გაუმჯობესება,** და შრომის **ნაყოფიერების** გადიდება. ამასთან ერთად შრომის დისციპლინის აწევა სათანადო დონემდე საპატიო მიზეზის გარეშე, გაცდენის, ზედმეტი და უსაფუძვლო ხარჯების მოსპობა, ნედლეულის ეკონომია და სხვ. უნდა გულახდილად ვთქვათ, რომ ამ მხრით ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, რის შესრულებას ჩვენ გვავალებენ მშრომელ მასების არსებითი ინტერესები, რადგანაც ამაზეა დამოკიდებული იმათი კეთილდღეობის გაუმჯობესება.

მეტად დიდია ჩვენი ამოცანები სოციალისტური სოფლის მეურნეობის დარგში. მუშაობის და პროდუქციის ხარისხობრივი გაუმჯობესების უდიდესი მნიშვნელობა აქაც ისეთივეა, როგორც მრეწველობაში; პირველ რიგში დგას ახლა სოფლის მეურნეობის **მოსავლიანობის აწევა.** ეს ამოცანა უნდა იქნას გადაჭრილი რათაც არ უნდა დაგვიჯდეს. რამდენობით ჩვენ გავზარდეთ სოფლის მეურნეობა ორჯერ მეტად. ჩვენ მომავალშიაც გავზრდით მიწის ფართობს სხვადასხვა კულტურების ქვეშ. მაგრამ ახლა წამოჭრილია მოსავლიანობის გადიდების ამოცანა, რასაც აქამდის შეიძლება ითქვას ან სრულებით არ ექცეოდა ყურადღება, ან თუ ექცეოდა სულ მცირე. პირველ რიგში ვისაც ევალება ამ ამოცანის გადაჭრა, ესენია **საბჭოთა მეურნეობების** და **კოლმეურნეობების** მოსავლიანობის გადიდება,—აი რა უნდა შეადგენდეს ამიერიდან იმათ მთავარ საზრუნავ საგანს, აი რა უნდა იდგეს იმათ ყურადღების ცენტრში.

ჩვენ გვაქვს არა ერთი და ორი, არამედ მრავალი ათეული და ასეული საბჭოთა მეურნეობები და განსაკუთრებით კოლმეურნეობები, სადაც საქმე სამაგალითოდ არის დაყენებული, რის გამო გადიდებულია შრომის ნაყოფიერება, პროდუქცია და სხვ. მაგრამ იმათ გვერდით ჩვენ გვაქვს ისეთი საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც არა თუ არ დგანან თავის მოწოდების სიმაღლეზე, არამედ არცხვენენ თავის სახელწოდებას. ასევე ითქმის ზოგიერთ კოლმეურნეობათა შესახებაც. რისთვის ხდება ეს? ცხადზე უცხადესია, მხოლოდ იმიტომ, რომ პირველებს აქვთ სათანადო ხელმძღვანელობა როგორც პარტიის, ისე საბჭოთა ორგანოების მხრით. იმიტომ, რომ იქ გაფრთხილებით და უდიდესი ყურადღებით ექცევიან საქმეს. იმიტომ, რომ ანხორციელებენ სინამდვილეში პარტიის და ხელისუფლების დირექტივებს და მითითებებს. იმიტომ, რომ იქ საქმის სათავეში დგანან სათანადოდ მომზადებული, ერთგული და გულშემატკივარი პირები, იმ საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში, სადაც ცუდი მდგომარეობაა, არ სრულდება არც ერთი ზევით ჩამოთვლილი პირობა ან სრულდება მხოლოდ ნაწილობრივ. მაგრამ, თავისთავად იგულისხმება, რომ ვერც პარტია, ვერც ხელისუფლება და ვერც მშრომელი მასა ვერ დაუშვებს, რომ ასეთი მდგომარეობა შემდეგშიაც გაგრძელდეს. ეს მდგომარეობა რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა იქნას გამოსწორებული **ამხ. სტალინის** მარტივი და ნათელი მითითებების საფუძველზე. უნდა გაძევებულ იქნას საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან უცხო, მტრული, კონტრ - რევოლიუციური ელემენტები, რომლებიც არა თუ ხელს უშლიან იქ მუშაობას, არამედ ჩადიან მავნებლობასაც. განსაკუთრებით პირველ რიგში უნდა გაჯანსაღებულ იქნას კოლმეურნეობა. რამდენჯერაც არ იყო თქმული, რომ კოლმეურნეობამ; ისე უნდა წაიყვანოს საქმე, რომ მან არსებითად, ნივთიერად დააინტერესოს თითეული კოლმეურნე, კოლმეურნეობის უპირატესობაში ერთპიროვნულ მეურნეობასთან შედარებით. ამისთვის საჭიროა, რომ კოლმეურნეობას ჰყავდეს კარგი მზრუნველი, ქონდეს საწარმოო გეგმა, მაგრამ გეგმა რეალური, ყოველი მხრით აწონდაწონილი, რომლის შესრულებას იგი შესძლებს. კოლმეურნეობამ უნდა იცოდეს ნათლად თავისი მოვალეობა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინაშე და ამ მოვალეობის მტკიცედ შესრულებისათვის ზრუნვიდეს. შესაძლებელია, თუ არა ამ ამოცანების განუხრელად, ასი პროცენტით შესრულება? ჩვენ ვამბობთ, რომ უთუოდ შესაძლებელია. განუხორციელებელი აქ სრულებით არაფერია. მაგრამ ამისთვის საჭიროა პარტიის და საბჭოთა ორგანოებმა გარკვევით, მონდომებით და ნამდვილი პასუხისმგებლობით იმუშავონ. განსაკუთრებით მივაქცევთ ყურადღებას ამ მხრით **სოფლის საბჭოების** როლს კოლმეურნეობის მუშაობის გაუმჯობესებაში და გარდაქმნაში. სოფლის საბჭო პასუხისმგებელია იმ კოლმეურნეობათა მუშაობისათვის, რომლებიც მის ტერიტორიაზე არსებობენ, პასუხისმგებელია კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმების თავის დროზე შედგენისათვის, იმათი ცხოვრებაში სისწორით გატარებისათვის; იგი პასუხისმგებელია კოლმეურნეობებისათვის შესაფერი კადრების მიწოდებისათვის და პასუხს აგებს იმათი მუშაობისათვის.

თავის თავად იგულისხმება, რომ ყველა ეს მოვალეობანი კოლმეურნეობათა მიმართ, არავითარ შემთხვევაში არ ათავისუფლებს სოფლის საბჭოებს **ერთპიროვნულ ღარიბ და საშუალო გლეხების მიმართ მზრუნველობისაგან.** ჩვენ ვიცით. რომ ამ დარგში მრავალ გადახრებს აქვს ადგილი, რომელთა სათავე იმაშია, რომ რახან გლეხი (ღარიბი, საშუალო) კოლმეურნეობის წევრი არაა, მის მიმართ შესაძლებელია დაშვებულ იქნას შიშველი ადმინისტრატიული ღონისძიება. ასეთი მიდგომა დაუშვებელია. ერთპიროვნული ღარიბი თუ საშუალო გლეხი დღეს თუ ხვალ კოლმეურნე უნდა გახდეს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს **ჩვენებით;** კარგი **მაგალითით,** საქმით **დაჯერებით.**

მოახლოვებულია თესვა. ჩვენი მზადყოფნის, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და საერთოდ ყველა საბჭოთა ორგანოების მომზადება მეოთხე ბოლშევიკური თესვის ჩატარებისათვის აქ შემოწმდება ვართ თუ არა მზად? ვართ თუ არა მჭიდროდ შეკავშირებულნი და დარაზმულნი? ჩვენ არ შეგვიძლია დამშვიდებულნი ვიყოთ, როცა ბურჟუაზიული ქვეყნები ჩვენს წინააღმდეგ ომისთვის ირაზმებიან. ვაძლიერებთ რა ჩვენ საბჭოთა ქვეყანას ეკონომიურად, ვხდით რა მას დამოუკიდებლად მანქანა - იარაღების მხრით, ჩვენ ვაძლიერებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას ჩვენს სახელოვან წითელ ჯარს.

მეთორმეტე წლის თავზე მხურვალე სალამით მივმართავთ საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელთ და ვუსურვებთ მათ უდიდეს წარმატებებს და გამარჯვებებს ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა ფრონტზე.

ფ. მახარაძე.

მისალმებები საბჭოთა საქართველოს 12 წლის თავის გამო

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტისაგან

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი მხურვალედ ესალმება საბჭოთა საქართველოს პროლეტარიატს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 12 წლ. თავზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით, რომელიც შეურიგებლად იბრძვის პარტიის გენერალური ხაზისათვის და განუხრელად ანხორციელებს საკ. კ.პ. (ბ) ლენინური ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს და პარტიის ბელადის ამხ. სტალინის უშუალო მითითებებს, — საქართველოს მშრომელებმა მიაღწიეს საგრძნობ წარმატებებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცების საქმეში, ჩაისათვის, თამბაქოსათვის, საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებულ უდიდეს შესაძლებლობათა გამოყენებისათვის ბრძოლის საქმეში.

ეს წარმატებები შესაძლებელი გახდა საქართველოს კომპარტიის რიგების ბოლშევიკური შემჭიდროების საფუძველზე, კონკრეტული ოპერატიული მუშაობის და კლასობრივი სიფხიზლის გაძლიერების საფუძველზე კლასობრივი მტრის ნაშთების, ანტი-საბჭოთა პარტიების ნამსხვრევების წინააღმდეგ ბრძოლაში და გლეხობის ძირითადი მასების სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის საფუძველზე.

საბჭოთა საქართველოს 12 წლის თავი ხვდება მეორე ხუთწლედის პირველი წლის დასაწყისს, მეორე ბოლშევიკური გაზაფხულის პირველი თესვის დასაწყისს.

საქართველოს კომპარტია განამტკიცებს მიღწეულ წარმატებებს, კიდევ უფრო ენერგიულად იბრძოლებს სოციალისტური მშენებლობის თვითეულ უბანზე ხელმძღვანელობის ხარისხისათვის, საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკ. კომისიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების და ამხ. სტალინის უკანასკნელი მითითებების ბოლშევიკურად განხორციელებისათვის, დარაზმავს მასების საწარმოო - პოლიტიკურ აქტიობას, შეამჭიდროებს თავის გარშემო მოწინავე პროლეტარების და კოლმეურნეების საუკეთესო აქტივს და ამით უზრუნველყოფს მეორე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების შესრულებას.

მხურვალე სალამი საქართველოს ბოლშევიკებს, რომლებსაც მაღლა უჭირავთ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის დროშა, საბრძოლო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა და რომლებიც შეუპოვარი, საქმიანი მუშაობით დღითი-დღე ანმტკიცებენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო - პოლიტიკურ ძლიერებას.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი.

ელვა

აგარის შაქრის ქარხნის დირექტორს ცხვირებაშვილს.
მშენებლობის უფროსს **შალმანოვს**
პარტკომის მდივანს — **ახალაძეს.**
მუშკომის თავმჯდომარეს — **ართილაყვას**
სტალინისი, რაიკომი — **კალმახელიძეს.**

მხურვალე სალამი საქართველოში და ა.-კავ.-ში პირველი შაქრის ქარხნის მშენებლებს — დამკვრელ მუშებს, ადმინისტრატიულ და საინჟინერო-ტეხნიკურ პერსონალს.

მშენებელთა ენტუზიაზმის შეერთებამ ბოლშევიკურ შეუპოვრობასთან გადალახა ქარხნის მშენებლობის და მონტაჟის ყველა სიძნელენი და შესაძლებელი გახადა საქართველოს შაქრის წარმოების ამ პირველი ქარხნის ამუშავება.

ქარხნის მშენებლებმა და მუშაკებმა ეს ენტუზიაზმი ეხლა უნდა გადაიტანონ ქარხნის ტეხნიკის ბოლშევიკურ ათვისებაზე, შაქრის გამოშვების უკეთეს ორგანიზაციაზე.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას მდივანი: **ლ. ბერია.**
სახკომსაბჭოს თავმჯდომარე: **გ. მგალობლიშვილი.**

ა.-კ. ცაკისაგან

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თორმეტი წლისთავზე ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი მხურვალე პროლეტარულ სალამს უგზავნის საქართველოს ყველა მუშებს, კოლმეურნეებს და მშრომელებს.

თორმეტი წლის წინად საქართველოს მუშებმა და გლეხებმა გადაიძვრეს მენშევიკების უღელი, მენშევიკების რომლებიც ევროპის იმპერიალისტების ხიშტების მეოხებით გაბატონებული იყვნ საქართველოში და, რომლებმაც ჩინური კედლით ჩამოაშორეს საქართველოს მშრომელები რუსეთის რევოლიუციურ პროლეტარიატს.

12 წლის წინად აფრიალდა რევოლიუციის წითელი დროშა საქართველოს დედაქალაქზე, სადაც ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ ისხდენ ქართველი ხალხის მოღალატეები, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტები — მენშევიკების მთავრობა.

მუშებისა და გლეხების ხელისუფლებამ, რომელმაც შესცვალა მენშევიკები, გაუხსნა გაღატაკებულ ქვეყანას ფართო გზა ეკონომიური და კულტურული აყვავებისაკენ და ლენინურად გადასჭრა ნაციონალური საკითხი.

ამ 12 წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელები, თავისი კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების სწორი ხელმძღვანელობით, გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდენ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ფრონტზე, ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმობისათვის ბრძოლის ფრონტზე, ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის ფრონტზე.

ამიერ-კავკ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ საქართველოს პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან მჭიდრო კავშირში განამტკიცებენ უკვე მიღწეულ წარმატებებს პირველი ხუთწლედის სოციალისტური მშენებლობის საქმეში და სძლევენ იმ ამოცანებს, რომლებიც დასახულია მათ წინაშე მეორე ხუთწლედში—უკლასო საზოგადოების აშენების ხუთწლედში.

წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ!

გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ა-კავკასიის ფედერაციას.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დიად კავშირს!

ა.-კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავჯ-რე: **ა. ანანიანი.**

ა.-კ. სახკომსაბჭოსაგან

საქართველოში პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების 12 წლისთავზე ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო მხურვალე სალამს უგზავნის მუშათა კლასს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელებს.

ჯერ კიდევ ამ ახლო წარსულში საქართველო წარმოადგენდა მსოფლიო მეურნეობის უუფლებო აგრარულ დამატებას; მისი ამ მდგომარეობაში დატოვება სურდათ საერთაშორისო იმპერიალიზმის ლაქიებს——მენშევიკებსაც, რომელთა პოლიტიკამ გამოიწვია ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივება და ქვეყნის სახალხო მეურნეობის საბოლოოდ განადგურება.

12 წლის წინად საქართველომ, რომელიც მშრომელთა ნება-სურვილით დაადგა კაპიტალისტური მონობიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ საიმედო გზას, საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ძმური დახმარებით და აზერბეიჯანის და სომხეთის მშრომელებთან მჭიდრო კავშირში, ამ წლების მანძილზე იაფი ჰიდრო-ელექტრო - ენერგიის ბაზაზე, გარდაქმნა თავისი სახალხო მეურნეობა.

პირველი ხუთწლიანი გეგმის 4 წელიწადში შესრულების, ხოლო მრავალ დარგებში კი—გადაჭარბებით შესრულების შედეგად, საქართველოს ს.ს. რესპუბლიკა გადაიქცა ინდუსტრიალურ - აგრარულ ქვეყნად, სადაც სოციალისტურმა ფორმებმა გადაჭრით და საბოლოოდ მოიპოვეს გაბატონებული მდგომარეობა კერძო კაპიტალისტურ ფორმებთან შედარებით.

სწრაფი ტემპებით იზრდება სახალხო მეურნეობის ჰიდრო-ენერგეტიული ბაზა, მოწინავე ტეხნიკის საფუძველზე შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი დარგები, რომლებიც აწარმოებენ რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრეების ამოღებას და დამუშავებას.

სოფლის მეურნეობაში ენერგიულად ვითარდება ძვირფასი სპეციალური ტეხნიკური კულტურები, მრავლდებიან და მტკიცდებიან საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები. საკოლმეურნეო წყობილება გაბატონებულ მდგომარეობას პოულობს საქართველოს სოფელშიაც.

უმაგალითოდ განვითარდა ფორმით ნაციონალური და შინაარსით პროლეტარული კულტურა. წლითი-წლობით ფართოვდება სკოლების, ტეხნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების და უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების ქსელი.

ხელოვნება და ლიტერატურა, სამეცნიერო-საგამოკვლევო აზრი იძლევიან იმის ბრწყინვალე მაგალითებს, თუ რისი მოცემა შეუძლია შრომისა და მეცნიერების კავშირს.

ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ, სოციალისტური მშენებლობის საქმეში მიღწეულ გრანდიოზულ წარმატებათა საფუძველზე, საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის მშრომელები მთლიანად შეასრულებენ მეორე ხუთწლედის—უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ხუთწლედის—პირველი წლის გეგმას.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს თორმეტი წლისთავს!

გაუმარჯოს ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკას!

გაუმარჯოს ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკას და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირს—ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრების და ძმური თანამშრომლობის ნიმუშს!

ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავ-რე: **მუსაბეკოვი.**

აზერბეიჯანის ცაკისაგან

ბაქო, 24 თებერვალი. აზერბეიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აზერბეიჯანის პროლეტარების, კოლმეურნეების და მშრომელთა სახელით უძღვნის ძმურ პროლეტარულ სალამს საბჭოთა საქართველოს მისი არსებობის 12 წლის თავზე. განვლილი 12 წლის განმავლობაში საბჭოთა საქართველომ კომპარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და ელექტროფიკაციის დარგში კულტურული რევოლიუციის ფრონტზე და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების საქმეში.

ჩვენ გამოვსთქვამთ მტკიცე რწმენას რომ საქართველოს მუშები და მშრომელი მასები, ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცებით, ახალი ქარხნებისა და ახალი ტეხნიკის ათვისების პათოსით და ენტუზიაზმით, უზრუნველყოფენ მეორე ხუთწლედის სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების შესრულებას.

გაუმარჯოს მოძმე საქართველოს რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას!

აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარე: — **ეფენდიევი.**

სომხეთის კ. პ. (ბ) ცეკასაგან

თბილისი, საქ. კ.პ. (ბ) ცეკას—ამხ. ბერიას

ერევანი, 23 თებერვალი. საქართველოს მუშათა და გლეხთა გამარჯვების 12 წლისთავის სახელოვან დღეს, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს ბოლშევიკებს და მათ მებრძოლ შტაბს — საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის ფრონტებზე გვიჩვენებენ ბოლშევიკური მუშაობის მაგალითს.

კომუნისტური სალამი სახელოვან რაზმს—საქართველოს ბოლშევიკებს!

გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიის მებრძოლ ბოლშევიკურ შტაბს—ცენტრალურ კომიტეტს!

სომხეთის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

საზეიმო საიუბილეო სხდომა მ. გ. წითელი არმიის 15 წლის თავის გამო

მოსკოვი, 23 თებერვალი. 23 თებერვალს დიდ თეატრში შესდგა საიუბილეო საზეიმო სხდომა მუშურ-გლეხური წითელი არმიის 15 წლის თავის გამო.

მქუხარე ტაშით შეხვდა დარბაზი პრეზიდიუმს, რომელშიაც იყვნენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და მოსკოვის კომიტეტის, კომინტერნის და პროფინტერნის, საკავშირო ცაკის, სრ რუსეთის ცაკის, საკავშირო რევ.-სამხედრო საბჭოს და მოსკოვის სამხედრო ცაკის რევ.-სამხედრო საბჭოს, მოსკოვის საბჭოს, საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს, საკ. ალკკ კომკავშირის ცეკას და მოსკოვის კომიტეტის წევრები.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ: ამხ. ამხ. **სტალინი, მოლოტოვი,** კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ანდრეევი, მიქოიანი, გამარნიკი, ტუხაჩევსკი, ს. კამენევი, ბუდიონი; ორლოვი; მუკლევიჩი, ეიდემანი, ბლიუხერი, ენუქიძე; კისელიოვი, რინდინი, ბულგანინი, იაროსლავსკი, კამინსკი და სხვ.

ამხ. **სტალინის** და სხვების გამოჩენამ მქუხარე ოვაცია გამოიწვია. ყველა ფეხზე ადგა და „ურა“-ს ძახილით მიესალმა ბელადებს.

ტრიბუნაზე ადის მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბულგანინი, რომელიც ლაპარაკობს, რომ წითელი არმიის 15 წლის თავის ზეიმი არის არა მარტო ჩვენი ქვეყნის მუშების და კოლმეურნეების ზეიმი, არამედ ეს ზეიმია მთელი მსოფლიოს მუშებისაც. ამხ. ბულგანინი ეხება წითელი არმიის მიერ განვლილ სახელოვან გზას და ხაზს უსვამს უდიდეს როლს, რომელიც მიუძღვით ამხ. სტალინს, ვოროშილოვს და ფრუნზეს, როგორც წითელი არმიის გამარჯვებათა სულის ჩამდგმელებს და ორგანიზატორებს მისი მთელი არსებობის პერიოდში.

— ჩვენ შევაიარაღეთ რა ახალი ტეხნიკით წითელი არმია, გავხადეთ იგი მძლავრ და უძლეველ არმიად. ჩვენ შევქმენით უდიდესი და უძლიერესი ძალა, რომელსაც შეუძლია საკმაო წინააღმდეგობა გაუწიოს ყველა იმათ, ვინც შეეცდება საბჭოთა კავშირის საზღვრების გადმოლახვას.

დარბაზი ენტუზიაზმით ხვდება ტრიბუნაზე წითელი არმიის წინამძღოლის ამხ. ვოროშილოვის გამოჩენას. ამხ. ვოროშილოვი მკაფიო ფაქტებით აღსავსე მოხსენებაში თანამიმდევრობით აშუქებს ძლევამოსილი პროლეტარული რევოლიუციის არმიის გმირულ გზას, განსაკუთრებით ხაზს უსვამს რა ამხ. ლენინის და სტალინის უდიდეს როლს მის ორგანიზაციისა და გამარჯვებებში.

— როცა ამხ. ვოროშილოვი ეხება იმ როლს და მუშაობას, რომელიც წითელ არმიაში მიუძღვის ამხ. სტალინს, რომელიც არა ერთხელ ყოფილა გაგზავნილი სამოქ. ომის, ომის ყველაზე მეტად საპასუხისმგებლო ფრონტებზე უმძიმეს მდგომარეობის გამოსასწორებლად, ყველანი ფეხზე დგებიან და მქუხარე ტაშით ესალმებიან საყვარელ ბელადს.

— თავის მოხსენებას ამხ. ვოროშილოვი თან ავსებდა განათებული დიაგრამების ჩვენებით, რომლებიც მოწმობენ წითელი არმიის ტეხნიკური ძლიერების ზრდას, რაც მჭიდროთ არის დაკავშირებული ხუთწლედის წარმატებებთან.

მოხსენების დამთავრების შემდეგ ამხ. ვოროშილოვს გაუმართეს მქუხარე ოვაცია. მხურვალე მისალმებებით საზეიმო სხდომაზე გამოვიდნენ წარმომადგენლები: მოსკოვის მთელ რიგ საწარმოების, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეების და მოსკოვის კომკავშირის წითელ საზღვაო და საჰაერო ფლოტის შეფის.

დასასრულ მიღებულ იქნა დადგენილება გაეგზავნოს მისალმებები საკ. კ. პ. (ბ) ცეკას — ამხ. **სტალინს,** საბჭოთა კავშირის ცაკს — ამხ. კალინინს, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს — ამხ. მოლოტოვს, წითელ არმიის და საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს — ამხ. ვოროშილოვს.

საზეიმო სხდომის შემდეგ შესდგა წითელარმიელთა თვითმოქმედების საღამო.

ა.-კ. ცენტრ. აღმ. კომ. პრეზიდიუმის დადგენილება

კავკასიის წითელდროშოვან არმიის ნაწილების უფროსშემადგენლობის „ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოვების შესახებ მუშურ-გლეხური წითელი არმიის არსებობის 15 წლისთავის აღსანიშნავად

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს: მუშურ-გლეხური წითელი არმიის არსებობის 15 წლის თავის აღსანიშნავად **დაჯილდოვებულ** იქნან, როგორც წითელი არმიის ვეტერანები, მშვიდობიანი სწავლების პერიოდში საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დამკვრელები.

„ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის შრომის წითელი დროშის“ ორდენით შემდეგი ამხანაგები:

1. აბრამოვი ა.—ამიერ-კავკასიის სახელმწიფო პოლიტსამმართველოს საგანგებო ნაწილის განყოფილების უფროსი.
2. ვასილენკო ი. მ.—მუშურ-გლეხური წითელი არმიის ქვეითი სასროლო მომზადების ინსპექტორი.
3. ვავილოვი ტ. ნ.—კავკასიის წითელდროშოვან არმიის შტაბის მეორე განყოფილების უფროსი.
4. გრიგორიანი გ. ა.—სომხეთის მსროლელთა დივიზიის მეთაური.
5. იპატოვი ი. მ.—ამიერ-კავკასიის მესამე მსროლელთა დივიზიის სამხედრო კომისარი და პოლიტგანყოფილების უფროსი.
6. კრუპენიკოვი ა. მ.—კავკასიის წითელდროშოვან არმიის შტაბის მეექვსე განყოფილების უფროსი.
7. პოლიაკოვი მ. ნ.—კავკასიის მეორე ცხენოსანი დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი.
8. ტაგიევი ი.ა.— საზდივიზია.
9. ტანტლევსკი ე. ბ.—კავკასიის მეორე დივიზიის უფროსი და სამხედრო კომისარი.

ამიერ-კავკასიის ხფს რესპუბლიკის საპატიო სიგელით:

10. ამხ. ნიკიტინი მ. ი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

ა. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

დღეს საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიის გიგანტების რიგებში ჩადგება შაქრის პირველი ქარხანა

როგორ ვიბრძოდით შაქრის პირველი ქარხნისათვის

(საუბარი აგარის შაქრის ქარხნის მშენებლობის უფროს თან ამხ. ა. ნ. შალმანოვთან)

საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიალური ცხოვრება, მისი არსებობის 12 წლის თავზე, გამდიდრდა ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი დარგით — შაქრის წარმოებით, რომელიც აქამდე სრულიად უცხო იყო არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიისათვის.

შაქრის წარმოების საკითხის გადაწყვეტა საქართველოში მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების მიღწევას წარმოადგენს. მანამდე ამ საქმისათვის არავის ყურადღება არ მიუქცევია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთეულ კერძო მეწარმეებს, რომლებიც აწარმოებდენ შაქრის ჭარხლის თესვას ქართლის ველების ზოგიერთ ნაკვეთებზე. ძირითადად კი შაქრის ჭარხლის კულტურისათვის ბრძოლა ჩვენში 1924 წლიდან დაიწყო და აქედან მოკიდებული 1930 წლამდე სწარმოებდა ჭარხლის საცდელი თესვა. ცდებმა დადებითი შედეგები მოგვცა და ამგვარად დაისვა საკითხი შაქრის ქარხნის აგების შესახებ.

დაიწყო მუშაობა სრულიად შიშველ ველზე, უაღრესად მძიმე პირობებში. არ იყო საკმარისი კადრები. არ იყო უზრუნველყოფილი ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები, დიდი იყო ნაკლებობა საშენებელ მასალის, მაგრამ ყოველივე ამას იოლად სძლიოდენ მშენებელი ენტუზიასტები. აგარის ველი დღითი-დღე იფარებოდა ახალ-ახალი ნაგებობებით და ყრუ მიდამოს თანდათანი გამოცოცხლება დაეტყო. აიგო ხე-ტყის სახერხი ქარხანა, დაიწყო ბინების მშენებლობა. შემდეგ ქარხნის მთავარი კორპუსის აგება. მშენებლობის შესახებ მალე გავარდა ხმა და იწყო დინა მუშახელმა შორეულ კუთხეებიდან. ველი მიმოიფინა საცხოვრებელ ბარაკებით.

ფაქტიურად ქარხნის მშენებლობა 1931 წ. 15 აგვისტოს დაიწყო. ამ დღეს მოხდა ქარხნის საფუძვლის ჩასაყრელად პირველი ქვაბულის ამოთხრა.

ამავე დროისათვის დანაწილებული იყო შეკვეთები საჭირო მოწყობილობაზე უკრაინის და რუსეთის ქარხნებს შორის; მაგრამ ისინი ვერ ასრულებდენ ნაკისრ ვალდებულებებს, აგვიანებდენ შეკვეთების შესრულებას, რამაც გავლენა მოახდინა ქარხნის მონტაჟის დაწყებაზე. ნაცვლად 1931 წლისა, მონტაჟი დაიწყო 1932 წ. მაისში და გაიშალა სექტემბერში.

ქარხნის მონტაჟი მეტად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა იმის გამო, მომწოდებლები ცუდად აწვდიდენ ქარხანას მოწყობილობას და ამასთანავე იგი განიცდიდა საშენებელი მასალის დიდ სიმცირეს. მაგრამ მშენებელ მუშათა კოლექტივი და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სძლევდენ ყველა დაბრკოლებებს, პარტიული ორგანიზაციის მტკიცე, ყოველდღიური ხელმძღვანელობით, იბრძოდენ თავდადებით, ნამდვილად ბოლშევიკური ტემპებით, დღისით და ღამით. ზაფხულის პაპანაქებაში და სუსხიან ზამთრის დღეებში, რომ ბეჯითად შეესრულებიათ უაღრესად პასუხსაგები სამუშაო.

უკანასკნელი მოწყობილობანი ქარხნისათვის მიღებულ იქნა მხოლოდ მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში. ამ მოწყობილობას ახასიათებს დაბალი ხარისხი და ადგილზე გვიხდება მისი არა მარტო აწყობა, არამედ შეკეთება. ეს ცუდი ხარისხი გავლენას ახდენს მუშაობის მიმდინარეობაზე. გვიხდება მისი დაცლევა წარმოების პროცესში.

წარმოების პირველი დღეები მიმდინარეობენ ამ დეფექტების გამოსწორებისა და რთული ტექნოლოგიური პროცესების მოწესრიგების ნიშნის ქვეშ. გვიხდება მუშაობა ჭარხალზე, რომელიც პირველად განიცდის [illegible] დამუშავებას. გვიხდება ტექნოლოგიური სისტემის რთული კონცეპციის მოგვარება და ამ პროცესში მრავალ სიძნელეებს ვაწყდებით.

ყველა ეს დეფექტები ეხლა თანდათან სწორდება და ქარხანაც იწყებს ნორმალურ მუშაობას.

აღსანიშნავია მუშათა კოლექტივის და ინჟინერ-ტექნიკოსთა უდიდესი ენტუზიაზმი, რომლის მეოხებით შეუძლებელი ხდება ყოველგვარი სიძნელეების გადალახვა, რთული [illegible] ორგანიზება და კონვეიერულ მექანიკურ პროცესების ურთიერთ შეთანხმება.

ამასთანავე ერთად, გზადაგზა ჩვენ გვიხდება ადგილობრივ მოსახლეობიდან ქარხნის საწარმოო კადრების მომზადება, ურომლისოდ წარმოუდგენელია ქარხნის შემდგომი ნორმალური მუშაობა. ეს დღეს მთავარი ამოცანაა.

ჩვენი ქარხანა უკვე ამუშავებულია. იგი თანდათან შედის ნორმალურ კალაპოტში. მიღწეულია უდიდესი გამარჯვება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე და ამ გამარჯვებაში უაღრესად დიდი ღვაწლი მიუძღვის პარტიულ ორგანიზაციას, საქ. კ.პ. (ბ) სტალინისის რაიკომისა და ადგილობრივ პარტიულ კოლექტივის სახით, რომლებიც თავის ყოველდღიური, ოპერატიული ხელმძღვანელობით ხელს უწყობდენ მშენებლობას. სტალინისის რაიკომის მდივანი ამხ. გ. კალმახელიძე და ქარხნის პარტკოლექტივის მდივანი ამხ. ი. ახალაძე, ეს ის ამხანაგები არიან, რომელთაც მშენებლებთან ერთად თავის ზურგით ზიდეს ქარხნის მშენებლობის მთელი სიმძიმე.

გვერდს ვერ აუხვევთ აგრეთვე საქ. მომარაგების სახ. კომისარიატის უდიდეს ღვაწლს ამ დიდ საქმეში.

პროლეტარულმა ენტუზიაზმმა, [illegible] ბოლშევიკურ ნებისყოფაზე თავისი გაიტანა. დღეს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 12 წლის თავზე ჩვენ ვზეიმობთ ჩვენს დიდ გამარჯვებას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე.

ქარხანა ატარებს გამომბრძმედილ ბოლშევიკის ამხ. ლავრენტი ბერიას სახელს და ამ საპატიო სახელწოდების ყოველთვის ღირსეული მატარებელი იქნება.

ლაპარაკობენ შაქრის ქარხნის დამკვრელები

საქართველოს შაქრის პირველი ქარხნის მშენებლობის პერიოდში თავი ისახელეს ნამდვილი დამკვრელური მუშაობით მთელმა ბრიგადებმა და ცალკე მუშებმა. ასეთია, მაგალითად. ამხ. გაბისონიას ბრიგადა და საუკეთესო დამკვრელი ამხ. გათაშვილი.

ჩვენ დაბრკოლებებს არაფრად ვიჩნევდით

— ჩვენი დურგალთა ბრიგადა შესდგება 10 კაცისაგან. ყველა პარტიულები ვართ. ვმუშაობთ მშენებლობის დაწყების პირველ დღიდან. გეგმებს ვასრულებთ გადაჭარბებით. ხელს გვიშლის მასალების ნაკლებობა, მაგრამ ამას ვსძლევთ საკუთარი ძალებით, მაქსიმალურად ვიყენებთ შინაგან რესურსებს. გვესმის ჩვენი დიდი მოვალეობა და დაბრკოლებებს არაფრად ვიჩნევთ. როგორც კომუნისტები, ვმუშაობთ ისე, როგორც კომუნისტებს შეეფერება. ჩვენი მიზანია მაგალითი მივსცეთ დანარჩენებს და ასეც არის, ჩვენს რიგებში არ აქვს ადგილი შრომის დისციპლინის დარღვევას, ყოველგვარ დავალებას ვასრულებთ პირნათლად.

შრომის ნაყოფიერების მაღალი ხარისხი და მტკიცე დისციპლინა—ასეთია ჩვენი ლოზუნგი.

ჩვენ აქ ვრჩებით მშენებლობის საბოლოო დამთავრებამდე და ვიმუშავებთ ჩვენთვის ჩვეული ენერგიით.

გაბისონია.

უდისციპლინო ძმაც კი არ მწამს

— მე ხარატი ვარ სპეციალობით. ვმუშაობ მშენებლობის დაწყებიდან. ყოველდღიურად მეძლევა სამუშაო დავალებები და მათ ვასრულებ 100 პროცენტით. შეიძლება მეტის გაკეთება, რომ ხელსაწყოების სიმცირე და დაზგის უვარგისობა არ მიშლიდეს ხელს. უკანასკნელ ხანებში დიდი დატვირთვა მაქვს. არ ვიცი დასვენება, ამას მოითხოვს საჭიროება და მეც არ გავურბი შრომას, ვასრულებ საზოგადოებრივ მუშაობასაც. მტერი ვარ შრომის დეზერტირების და უდისციპლინობის. არ დავინდობ ასეთებს, თუ გინდ ძმაც რომ იყოს. კიდეც ქონდა ადგილი ასეთ შემთხვევას: ჩემ ცეხში მუშაობდა ჩემი ძმა ლეონტი, მან დღეები გააცდინა, მე როგორც უჯრედის მდივანმა აღვძარი საკითხი პარტკოლექტივის წინაშე (ძმა პარტიული იყო), გავარიცხვინე პარტიიდან და სამუშაოდანაც მოვახსნევინე. ამ გზას არ ვადაუხვევ.

კადრები არა გვყავს და ეს გვიშლის ხელს მუშაობაში. ამას უნდა მიექცეს ყურადღება. ჩემი სურვილია კვალიფიკაციის ამაღლება. რომ უფრო მეტი ნაყოფი მოუტანო წარმოებას.

გათაშვილი.

სად რას ვაშენებთ

ფერო-მარგანეცის ქარხანა

ფერო - მარგანეცის ქარხნის პირველი რიგის სამუშაოები დამთავრდება მიმდინარე წლის მეორე ნახევრისათვის. ქარხანა ამუშავდება 1933 წელში და ყოველწლიურათ მოგვცემს 50.000 ტონა ფერომარგანეცის შენადნობს.

ჩაის მოწყობილობათა ქარხანა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 12 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით ბათომში იწყება ჩაის ფაბრიკების მოწყობილობათა დამამზადებელი ქარხნის მშენებლობა. მიმდინარე წლის განმავლობაში ქარხნის მშენებლობაზე დაიხარჯება 500.000 მანეთი.

თაბაშირსხმულის ქარხანა

თაბაშირსხმულზე დიდი მოთხოვნილებაა მშენებლობაში თაბაშირსხმული საჭიროა შენობების ფასადისათვის და შიგნითა მოწყობისათვის. ქარხანა აგებული იქნება თბილისში, ამუშავდება მომავალი წლიდან და დაჯდება 400.000 მანეთი.

26 კომუნ. სახ: ქარხნის რეკონსტრუქცია

26 კომ. სახ. ქარხნის მოწყობილობა შესამჩნევათ მოძველდა და გარდა ამისა საქარხნო კორპუსებიც არაა ლითონის წარმოებისათვის შესაფერისი. წელს აღნიშნული ქარხნის რეკონსტრუქციისათვის დახარჯული იქნება 500.000 მანეთი. აქედან საქარხნო კორპუსების გადაკეთებაზე 220 ათასი მანეთი და ახალი მოწყობილობის შეძენაზე 245.000 მანეთი.

ალებასტრი

ხუდონში (ზუგდიდის რაიონი) იწყება ალებასტრის საბადოების დამუშავება, რისთვისაც მიმდინარე წლის განმავლობაში დახარჯული იქნება 75.000 მანეთი. ეს თანხა მოხმარდება უმთავრესად მექანიზმების დადგმას და მუშათა საცხოვრებელი ბინების აგებას. გარდა ამისა, გადადებულია 100.000 მანეთი საბადოებამდი გზატკეცილის გასაყვანათ.

ქაღალდის ახალი ფაბრიკა ნავთლუღში

ნავთლუღში საფუძველი ეყრება ქაღალდის ახალ ფაბრიკას, რომელიც ნედლმასალათ გამოიყენებს ვაზის წალამს. ფაბრიკის აგება დაჯდება 1.400.000 მანეთი, წლიურათ მოგვცემს 2.000 ტონამდე ქაღალდს და ამუშავდება მომავალი წლიდან.

ფეხსაცმელების ახალი ფაბრიკა

ნავთლუღში შენდება ფეხსაცმელების ახალი ფაბრიკა. მშენებლობა მოთავდება მიმდინარე წლის ბოლოსთვის. ფაბრიკა ყოველწლიურათ მოგვცემს 6 მილიონ წყვილ ფეხსაცმელს.

სამკერვალო ფაბრიკა - გიგანტი

შენდება დიდუბეში. მიმდინარე წლის განმავლობაში ფაბრიკის აგებათ და არსებული სამკერვალო ფაბრიკების შესაკეთებლათ დაიხარჯება 1.330.000 მანეთი. გარდა ამისა; გადადებულია 1.275.000 მანეთი ახალ ფაბრიკა - გიგანტთან მუშათა საცხოვრებელი ბინების ასაგებათ.

საკონსერვო ფაბრიკა ქუთაისში

ქუთაისში შენდება დიდი საკონსერვო ფაბრიკა, რომელიც ყოველწლიურად დაამზადებს 23 მილიონ ქილა ხილბოსტნეულის კონსერვს ფაბრიკა დაჯდება 6.087.000 მანეთი, დამთავრდება 1933 წელს. ქარხნის ნედლეულით უზრუნველსაყოფად [illegible] რაიონში ეწყობა სპეციალური საბჭოთა მეურნეობა. მეურნეობის მშენებლობაც 1933 წელს დამთავრდება.

პურ - წისქვილკომბინატი

ნავთლუღში შენდება პურწისქვილკომბინატი, რომელიც შესდგება სამი ობიექტისაგან: **წისქვილი**, რომელიც გადაამუშავებს დღე-ღამეში 200 ტონა ხორბალს, **ელევატორი**, 32.000 ტონა ხორბლის ტევადობით და **პურის ქარხანა**. კომბინატის აგება ჯდება 5.500.000 მანეთი, დამთავრდება 1933 წელს.

მარგარინის ქარხანა ნავთლუღში

ცვლაში (8 საათი) დაამზადებს 20 ტონა მარგარინს. ჯდება 3.816.000 მანეთი. ამუშავდება 1933 წელს. მიმდინარე წელსვე ამუშავდება მაკარონის და კარამელის ახალი ფაბრიკები.

თევზის საბჭოთა მეურნეობა ჯანეუაში

ეწყობა 315 ჰექტარზე. მშენებლობა დაიწყო 1932 წელს და დამთავრდება 1933 წელს. იწარმოებს თევზის ჭერა - დამზადება მდინარეებიდან, გამოყვანილ სპეციალურ არხების საშუალებით.

შუშის ახალი ქარხანა ქუთაისში

დღეს, 25 თებერვალს, ქუთაისში გაიხსნება შუშეულობის ქარხანა, რომელიც აგებული იქნა ადგილობრივ მეურნეობის ტრესტის მიერ საკუთარი საშუალებებით. ქარხანა დღეში გამოიმუშავებს თეთრ შუშას 2 ტონას რაოდენობით. ქარხანა უზრუნველყოფილია ნედლეულით (სილა და კირი).

ქალაქის საბჭოს დადგენილებით, ქარხანა იმუშავებს ფართო მოხმარების საგნების დამზადებაზე, როგორიცაა ლამპის შუშები, ფანჯრის მინა, ბოთლები და სხვ.

ვინაიდან ქუთაისის მახლობლად მრავლად მოიპოვება სილა და კირი, საკონსერვო ტრესტს განზრახული აქვს მძლავრი შუშის ქარხნის აგება კონსერვების ტარის დასამზადებლად.



აგარის შაქრის ქარხნის საერთო სურათი, მარცხნივ ზევით—ქარხნის მშენებლობის უფროსი ამხ. ან. შალმანოვი.

საქართველოს მრეწველობის ტექნიკური შეიარაღება

„იყო და არა იყო რა..." ასე შეიძლება დავახასიათოთ საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

თორმეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც შავი ზღვის ჰორიზონტს ამოეფარენ მენშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლებით და უკანასკნელთა მიერ გატაცებული ქონებით დატვირთული გემები. საბჭოების ემბლემა წითლათ აფრიალდა საქართველოში. დაიწყო ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური და ეკონომიური აყვავების ხანა, დაიწყო მენშევიკების მიერ გაპარტახებული მრეწველობის აღდგენა. ტექნიკური შეიარაღების მხრივ საქართველოს მაშინდელი მრეწველობა თითქმის არარაობას უდრიდა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლეს უმოკლეს ხანში აღედგინათ ჩვენი განადგურებული მრეწველობა, ფეხზე დაეყენებიათ ის და შემდეგ მოეხდინათ მისი გადახალისება.

ამუშავდა ზაჰესი, ახლად მოწყობილი 26 კომუნ. სახელობის ქარხანა, ამუშავდა ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, 5 ახალი აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, მთელი დატვირთვით დაიწყეს მუშაობა-ფეხსაცმელების ფაბრიკამ, ტყავის ქარხნებმა, სამკერვალო ფაბრიკებმა, მოეწყო ქიმიური მრეწველობის კომბინატი და სხვ.

პირველი ხუთწლედის შედეგათ, საქ. სსრ-მა მრეწველობამ სახალხო მეურნეობის სისტემაში მთავარი ადგილი დაიკავა. ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან საქართველო გადაიქცა ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად. საქართველოს მრეწველობა დღეს შეიცავს ისეთი დარგებს, რომლებიც ძველად სრულიად უცნობნი იყვნენ ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის. ჩვენში დღეს უკვე საკმაოთ ძლიერი და ფეხმოკიდებულია საფეიქრო მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ცემენტის წარმოება, ელექტრო-მრეწველობა, მინერალური საღებავების მრეწველობა ქიმიური მრეწველობა და სხვ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენში არ ყოფილა მრეწველობის ამ დარგების ხსენებაც.

საქართველოს მუშათა კლასმა, მისი ავანგარდის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, განვლილი თორმეტი წლის მანძილზე სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე შესძლო უდიდესი გამარჯვებების მოპოვება. დღეს საქართველოს სამრეწველო წამოწყებების ტექნიკური სრულყოფა ხშირად უცხოეთისათვისაც მისაბაძი ხდება. თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა უცხოელი სპეციალისტების სიტყვით ერთ-ერთ საუკეთესოდ მოწყობილი საწარმოა. კასპის ცემენტის ქარხანა მრეწველობის ამ დარგის ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანია. ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხანას ძალიან მცირე რაოდენობის ტოლები ეყოლება ტექნიკურად დაწინაურებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც კი. სულ ერთი წლის შემდეგ ჩვენი მარგანეცის მრეწველობა თავისი ტექნიკური სიძლიერით ერთ ერთი პირველ ადგილს დაიკავებს მსოფლიოში.

ტრაქტორი და სელფაქტორი, კომბაინი და ბეტონმრევი ინკუბატორი და ურნალი, ტრიერი და ტურბო-გენერატორი, საქსოვი დაზგა და სათესი მანქანა, აბრეშუმის გადამმუშავებელი მანქანა და ყურძნის საწნეხი მექანიზმები,— ყველაფერი ეს დღეს საქართველოს მუშებისა და გლეხების ყოველდღიურობის ატრიბუტებია. ჩვენ თვითონ ვამზადებთ რთულ მანქანებს. ჩვენი ქარხნები მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების თანახმად, ჩვენი ტექნიკური ძლიერების შემდგომი ზრდისათვის საჭირო ბაზა უკვე შექმნილია. მართალია, ჩვენ მთლიანად ჯერ კიდევ ვერ ავითვისეთ არსებული ტექნიკური ბაზა, ჩვენი ტექნიკური შეიარაღების შესაძლებლობანი გაცილებით უფრო დიდია. მაგრამ თუ მუშათა კლასმა შეიძლო უამრავ დაბრკოლებათა გადალახვა, და ძლიერი ტექნიკური ბაზის შექმნა, იგი შედარებით უფრო ადვილათ შეიძლებს მის დაუფლებას, ახალი ტექნიკის ათვისებას.

ახალი ტექნიკის ათვისება მთავარ ამოცანათ დასახა საქ. კომპარტიის (ბ) და ცენტ. საკ. კომისიის იანვრის გაერთიანებულმა პლენუმმა. პლენუმის დადგენილებამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა მუშათა კლასში, ფართო მასები უკვე ამოძრავდნენ პარტიის ამ ლოზუნგის განსახორციელებლათ.

აი ასეთია დღეს საქართველოს მრეწველობის ტექნიკური შეიარაღება.

— **დ. ლ.**



დღეს ავჭალაში საფუძველი ეყრება თბილისის ფოლად-თუჯის ჩამომსხმელ ქარხანას

თბილისის ლითონის დამმუშავებელ ქარხნების მუშაობაში ყველაზე ჩამორჩენილი ადგილია კუსტარული ჩამომსხმელი საამქროები, სადაც არავითარი მექანიზაცია არ არის გატარებული (ყალიბობა, ჩამოსხმა, გადაზიდვა ხდება ხელით). ქარხნები იყენებენ ჩამოსხმის უძველეს მეთოდებს, რომლებიც ამ 200 წლის წინად იყო ხმარებაში. ამის შემდეგ არაფერი გასაკვირი არ არის, რომ ერთი ტონა ჩამოსხმული თუჯი თბილისის ქარხნებში ჯდება 600—700 მანეთი, წინააღმდეგ 200 მანეთისა მსხვილ ცენტრალიზებულ ჩამომსხმელ ქარხნებში, წუნი კი ზოგიერთ შემთხვევაში 30—40 პროც. აღწევს.

ამიტომ, როდესაც დაისვა საკითხი არსებული ქარხნების რეკონსტრუქციის შესახებ, მთავარი ყურადღება მიექცა ჩამომსხმელი წარმოების რაციონალიზაციას. ქარხნების ეხლანდელ მდგომარეობაში საჭირო იქნებოდა დიდი თანხების დახარჯვა წვრილ ჩამომსხმელ საამქროებზე, რომლებშიაც, მათი მცირე წარმადობის გამო, შეუძლებელია წარმოების მექანიზირებული საშუალებების ფართოდ გამოყენება.

ამიტომ თბილისის მანქანათმშენებელ ქარხნების შემდგომ განვითარებას საფუძვლად დაედვა ქარხნების სპეციალიზაცია და კოოპერაცია გამოსაშვებ პროდუქციის ტიპების მიხედვით და ჩამომსხმელ საამქროების ერთ საწარმოო ერთეულად გამოყოფა.

ამასთან დაკავშირებით გადაწყდა აგებული იქნეს თბილისში 1933 წელს ფოლად-თუჯის ჩამომსხმელი ცენტრალური ქარხანა, რომელიც სხმულს მიაწოდებს ყველა ქარხნებს. ჩამომსხმელი წარმოების ასეთი კონცენტრაცია საშუალებას იძლევა მოეწყოს მასთან ფოლადის ჩამომსხმელი წარმოება, რომელიც დღემდე არ არსებობს ამიერ-კავკასიაში, მიუხედავად მაზზე დიდი მოთხოვნილებისა.

კაპიტალური ხარჯები ამ ქარხნისათვის გათვალისწინებულია 1.700.000 მანეთის რაოდენობით. ქარხანა უნდა ამუშავდეს 1934 წლის ნახევარში. აგებული იქნება თუჯის ჩამომსხმელი საამქრო, სადაც ორი [illegible] გარდა თუჯის ჩამოსასხმელად მოეწყობა ელექტრო - ღუმელები ფოლადის ჩამოსასხმელად. ქარხანა წლიურად დაამზადებს 8.000 ტონა სხმულს.

შემდეგში გადაწყვეტილია ქარხნის გაფართოება. ცალკე გამოიყოფა ფოლადის ჩამომსხმელი საამქრო, მოეწყობა მილების წარმოება და სხვ.

თუ რევოლიუციის წინადროინდელ საქართველოს არ გააჩნდა ლითონის დამმუშავებელი არც ერთი ქარხანა (მანქანათმშენებლობის ხსენებაც არ იყო მაშინ), მეორე ხუთწლედის დასაწყისისათვის, საბჭოთა საქართველოს 12 წლის თავზე, განვითარებულ და მომაგრებულ მანქანათმშენებლ მრეწველობისათვის იქმნება ძლიერი ტექნიკური ბაზა, რომელიც დააჩქარებს საქართველოს და ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაციას.

* * *

ქარხნის საფუძვლის ჩაყრა მოხდება დღეს, 25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 12 წლ. თავზე, სადგურ ავჭალასთან. საფუძვლის ჩაყრაზე მოწვეულია მთავრობის, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები. სტუმრებისათვის თბილისიდან დანიშნულია სპეციალური მატარებელი, რომელიც გავა დილის 11 საათზე.

საქ. მრეწველობა 12 წლის მანძილზე

თორმეტი წელიწადი ფრიად მცირე დროა უნდა ჩაითვალოს ინდუსტრიალური მრეწველობის შექმნისათვის არსებითად ცარიელ ადგილზე, რომელსაც წარმოადგენ და საქართველო მრეწველობის მხრივ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. პირველი ხუთი-ექვსი წელიწადი მოხმარდა იმის აღდგენას, რაც დანგრეული იყო მენშევიკების დროს. შემოქმედებითი მუშაობისათვის კი დარჩა ექვსი-შვიდი წელიწადი. ლენინური ნაციონალური პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელებამ, უზრუნველყო საბჭოთა კავშირში შემავალ ჩამორჩენილ ნაციონალურ რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაცია. ამის მაგალითს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან ერთად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიც (აზერბეიჯანი, საქართველო და სომხეთი). მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკის გატარებით შეიძლება აიხსნას ის, რომ ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში საქართველოში მრეწველობის განვითარება ასეთი განსაცვიფრებელი ტემპებით მიმდინარეობდა.

მრეწველობის (მძიმე, მსუბუქი, სატყეო, კვებ-კვების) პროდუქცია უცვლელ ფასებში იძლევა შემდეგ დინამიკას: 1923-24 წელი — 27.022.000 მან. 1925-26 წელი — 57.777.000 მან., 1927-28 წელი—74.306.000 მან. 1929-30 წელი 159.483.000 მან. 1931 წ—239.146.000 მან. 1932 წელი — 277.940.000 მან.

მრეწველობის პროდუქციის ასეთი ზრდა აიხსნება უმთავრესად იმით, რომ მოწყობილ იქნა რამოდენიმე ათეული ახალი წარმოება

კაპიტალურ დაბანდების დინამიკა გვიჩვენებს, რომ მთავარი როლი პროდუქციის ამ ზრდაში ითამაშა ახალმა წარმოებებმა.

კაპიტალური მშენებლობისათვის დახარჯული იყო ყველა სამრეწველო დარგებში: 1923-24 წელში —239.000 მან 1925-26 წ. —4.857.000 მან., 1928-29 წ. —26.559.000 მან., 1929-30 —55.309.000 მან. 1932 წ. 71.000.000 მან.

ცალკე აღებული მძიმე მრეწველობაც ზრდის დიდ ციფრებს იძლევა 1923-24 წელში მძიმე მრ-ბის პროდუქცია უდრიდა 10 მილიონ მანეთს (უცვლელ ფასებში), 1932 წელში კი 130 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

საწარმოო ძალების განვითარების საქმეში გადამწყვეტ როლს თამაშობს ხიმთო სიმდიდრეთა (მინერალების და მადნ-ბის) გამოკვლევა. არაფერი ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში არ გაკეთებულა. უამრავი განცხადებები [illegible] და მინერალების აღმოჩენის დარგში მხოლოდ და მხოლოდ არქივებში გადადიოდა და არც ერთი სერიოზული ხასიათის გეოლოგიური გამოკვლევა არ ჩატარებულა.

ამჟამად კი საქართველოს სხვადასხვა რაიონებში (აფხაზეთი, აჭარისტანი. სამხრეთ ოსეთი) 60-ზე მეტი გეოლოგიური პარტია ეწევა მუშაობას. მიმდინარეობს მუშაობა საბურღავი მანქან-ბით (კრელიუსები) და სხვა ტ-ხნიკური მოწყობილობით უკანასკნელ წლების განმავლობაში აღმოჩენილია და გამოკვლეული იქნა მთელი რიგი საბადოების სამრეწველო მარაგი (ახალციხის ქვანახშირი, სამხრეთ ოსეთის ტყვიის და თუთიის საბადოები. აჭარისტანის სპილენძი, შავი ზღვის ნაპირის ტიტანო-მაგნეტიტები, რკინის ბუდობები, მიშიაკი, გაჯი, ანდეზიტი, ლეჩხუმის და აფხაზეთის ბარიტი, გლაუბერის მარილი, სხვადასხვა ფერის მარმარილოები, დიატომიტი, სახურავი ფიქალები, ლითოგრაფიული ქვა, მოლიბდენი, ბიტუმი, ტალკი, ტორფი და სხვ.).

ყოველწლიურად გეოლოგიურ-საგამოკვლევო მუშაობაზე იხარჯება 2—2 ნახ. მილიონი მანეთი. შექმნილია გეოლოგების ადგილობრივი კადრი.

მრეწველობის განვითარების მანძილზე საფუძველია ელექტროფიკაცია. საბჭოთა საქართველოს, კავშირის სხვა რაიონებს შორის ელექტროსადგურების მშენებლობის მხრივ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

1913 წელში მთელ ყოფილ რუსეთში სარაიონო სადგურების სიმძლავრე 169 ათას კილოვატს უდრიდა. საქართველოს სარაიონო სადგურების სიმძლავრე (ზაჰესი, რიონჰესი აბჰესი) 1933 წლის ბოლოში 75 ათას კილოვატს მიაღწევს. მაშასადამე უზარმაზარ რუსეთის სარაიონო სადგურების სიმძლავრის 50 პროც. ჩვენ ვაღწევთ პროპორციონალურად. ისეთ ძლიერ მცირე ტერიტორიაზე, როგორიც არის საქართველო.

ელექტროსადგურების სიმძლავრის მხრივ საქართველო წინ სდგას, ვიდრე საბჭოთა კავშირის მთელი რიგი სხვა რაიონები.

პროპორციონალურად ასეთი დიდი ადგილის დაჭერა არ აიხსნება შემთხვევითი მიზეზით, ეს ერთი იმის საუკეთესო დამამტკიცებელია, რომ კომუნისტურ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ცალკე რაიონების მიმართ, ეყრდნობა ერთის მხრივ ჩამორჩენილ ნაციონალურ რესპუბლიკებში მრეწველობის უფრო ჩქარ განვითარებას და ამასთანავე გამოდის ამ რაიონში არსებულ საწარმოო ძალთა ხასიათიდან. საქართველო სხვა რაიონებთან შედარებით მდიდარია ისეთ ჰიდრო ენერგეტიული რესურსებით, რომელიც საშუალებას იძლევა აგებული იქნეს მაღალი წნევადობის ჰიდროსადგურები იაფი ენერგიით.

საბჭოთა ხელისუფლებამ გზა გაუხსნა საქართველოს უმთავრეს საწარმოო ძალას — ჰიდრო ენერგეტიულ რესურსების გამოყენებას. მან შექმნა პირობები ამ რესურსების ისეთი გრანდიოზული პროექტების წამოყენებისათვის, რომელნიც საქართველოს ახლო მომავალში განსაკუთრებულ როლს მიანიჭებს იაფი ელექტროენერგიის დიდი რაოდენობით გამომუშავების მხრივ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიძლებოდა წამოჭრილიყო ინჟ. კობაძის ეფექტიური სქემა. მიუხედავათ ადგილობრივად ამ საკითხისადმი ერთგვარი კონსერვატიული მიდგომისა, საკავშირო ცენტრმა ეს სქემა გაცნობისთანავე მოქმედებაში გაუშვა და დაუყოვნებლივ გამონახა სახსრები მომზადებითი მუშაობის საწარმოებლად. ეს მომზადებითი მუშაობა დაიწყო გასულ წელს და გრძელდება მიმდინარე წელსაც ზედა მტკვარზე, რიონზე, ცხენის-წყალზე, ზედა ინგურზე. ინჟ. კობაძის სქემის გამოქვეყნების შემდეგ ამ მიმართულებით ამოძრავდა საინჟინრო ძალების აზრი. ამჟამად უკვე შემოსულია დამატებითი სქემები, როგორც ხსენებულ წყლებზე, ისე სხვაზედაც.

ნავთის მრეწველობის შექმნას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ნავთის საბადოები საქართველოში აღმოჩენილია რამოდენიმე ათეული წლის წინად. ამ ხნის განმავლობაში სხვა და სხვა კერძო კამპანიები და სააქციონერო საზოგადოებები ცდილობდენ დაეწყოთ ექსპლოატაცია. მაგალითად, 1870 წელს მირზაანში გათხრილი იყო 80 ნავთის ამოსაღები ჭა. შირაქში სიმენსის ფირმამ გასული საუკუნის 60 წლებში დაიწყო მუშაობა. 1872 წლიდან — 1877 წლამდე ამოღებული იყო 18.935 ტონა ნავთი. 1902 წელში შირაქის ექსპლოატაციას შეუდგენ ოთარიევები. 1913—14 წლებში ელდარის ნავთის საბადოების გამოკვლევას აწარმოებდა ფრანგების საქციონერო საზოგადოება. ჩატმაში სწარმოებდა ნავთის კუსტარული ამოღება 1913 წლამდე. 1900 წელში ჩატმაში საგამოკვლევო ბურღვას ეწეოდა ინგლისური კამპანია. ილდოყანის საბადოებში 1902 წელში „ილდოყანის სანავთო ამხანაგობამ" დაიწყო ბურღვა. 1905 წელში იქ მუშაობას შეუდგა ინგლისის ფირმა „სამხრეთ რუსეთის ნავთის საზოგადოება" [illegible]. 1913 წელში მეორე ფირმა იწყებს ბურღვას. ასეთივე ცდები იყო შირაქ-ხოდაშენის მხარეშიაც. 1913—14 წელში იქ სწარმოებდა ნავთის კუსტარული ამოღება. ფხოველში 1910 წელში ამოთხრილი იქნა 10 სანავთო ჭა, საიდანაც ხდებოდა ნავთის ამოღება. ნავთლუღში 1847 წლიდან სწარმოებდა ნავთის კუსტარული ამოღება. შემდეგ წლებშიაც იყო ექსპლოატაციის დაწყების ცდები.

გურიის ნავთის გამოკვლევების ამბავსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს. დაწყებული 1877 წლიდან 1914 წლამდე ოზურგეთში, სამხრეთში, გულიანში და სხვა რაიონებში სწარმოებდა გამოკვლევის ცდები. უცხოეთის ფირმები (ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები) რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში დიდ ინტერეს იჩენდენ გურიის ნავთის საბადოების მიმართ.

ყველა ეს ცდები ცდებათ დარჩა, ვინაიდან არც ერთ საბადოზე არც ერთ კამპანიას არ დაუმთავრებია საგამოკვლევო მუშაობა. არსად არ ყოფილა ჩატარებული სერიოზული მუშაობა და ამიტომ საქართველოს ნავთის საბადოები ვერ ეღირსენ ექსპლოატაციას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იქნა ჩატარებული ფართო მუშაობა და მიმდინარე წელს უკვე გამოკვლევებიდან გადავდივართ ნავთის სამრეწველო ამოღებაზე. იწყება მირზაანის საბადოს ექსპლოატაცია. შირაქი, ნავთლუღი და სხვა საბადოები მომზადებული იქნება საექსპლოატაციოთ 33 და 34 წლებში.

ახლა უკვე ნავთის გამოკვლევა მთელ რიგ საბადოებში იმ დონემდე მივიდა, რომ ნავთის მარაგი 200—250 მილიონ ტონას აღწევს.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებამ საძირკველი ჩაუყარა საქართველოში ნავთის მრეწველობას. მომავალ წლებში საქართველო გადაიქცევა ნავთის მრეწველობის მნიშვნელოვან რაიონათ ბაქოსა და გროზნოს შემდეგ.

საბჭოთა ხელისუფლების დროს აჭარისტანში (ბათომში) აშენდა მსხვილი ნავთის გადამმუშავებელი ქარხნები. მათი აშენებისათვის დაიხარჯა 36 მილიონი მანეთი ამ ქარხნების ყოველწლიური გადამუშავების რაოდენობა უდრის 3 მილიონ ტონას.

ქვანახშირის მრეწველობა, თუმცა არსებობდა გასაბჭოებამდეც, მაგრამ ნახშირის ამოღების რაოდენობა ძლიერ დაბალ დონეზე იდგა. ტყიბულის მაღაროები ნახშირის ამოღების მხრივ შემდეგ ციფრებს იძლევა:

1913 წელში 71.000 ტონა, 1914 წელში 65.000 ტონა, 1919 წელში 26.000 ტონა, 1925 წელში 81.000 ტონა, 1931 წელში 144.000 ტონა, 1932 წელში 206.000 ტონა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პირველი წლები დასჭირდა ტყიბულის მაღაროების აღდგენას. მენშევიკების დროს ტყიბულში ნახშირის ამოღება სწარმოებდა ყოველგვარი სისტემის და გეგმის გარეშე. ადგილი ქონდა ხშირ ხანძრებს. არავითარი ტექნიკური გაუმჯობესება და მექანიზაცია წარმოებაში არ ყოფილა შეტანილი. ამჟამად კი ტყიბულში მტკიცედ ფეხს იკიდებს ნახშირის გამოღების და გამოტანის მექანიზაცია. დაიწყეს მუშაობა პრეპარატორებმა და სხვა მექანიკურმა მოწყობილობამ. მუშების შრომის ნაყოფიერება რამოდენიმეჯერ გაიზარდა. განსაკუთრებული ყურადღება ქონდა მიქცეული საცხოვრებელი ბინების მშენებლობას. თუ წინეთ საშუალოდ მუშაზე მოდიოდა 2 კვადრატ. მეტრ ფართობზე ნაკლები, ამჟამად 5 კვ. მეტრი მოდის. აშენებულია შვიდი ორსართულიანი ქვის სახლი 33 სტანდარტული სახლი და სხვ.

ტყვარჩელის ქვანახშირის ბუდობი აღმოჩენილია 1881 წელს. მას აქეთ კერძო კაპიტალისტების ცდები ექსპლოატაციის დაწყების შესახებ, ცდებათ დარჩენ. 1905 წელში მოეწყო სპეციალური საზოგადოება — „ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების საზოგადოება". შემდეგ ტყვარჩელს ხელი მოკიდა „შავი ზღვის რკინის გზის საზოგადოებამ". 1915 წ. „[illegible] სამრეწველო ამხანაგობამ 1920 წ. მენშევიკების მთავრობამ ტყვარჩელი კონცესიათ მისცა იტალიელ საზოგადოება „ილვას". არც ერთ ამ საზოგადოებას და კერძო პირებს ტყვარჩელში არაფერი გაუკეთებიათ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ტყვარჩელის გამოკვლევა და მაღაროების მშენებლობა. წელს უკვე ტყვარჩელში იწყება ნახშირის ექსპლოატაცია. ტყვარჩელის საექსპლოატაციოთ მომზადებისათვის დაიხარჯა 30 მილიონ მანეთზე მეტი.

იწყება მესამე ქვანახშირის საბადოს (ახალციხის) ექსპლოატაციისათვის მომზადება. ახალციხის ქვანახშირის საბადოები აღმოჩენილია 1931 წელში და იქ ამჟამად მიმდინარეობს დეტალური გამოკვლევა. წინასწარი ვარაუდით ამ საბადოს მარაგი უდრის 180 მილიონ ტონა ნახშირს, რაც ორჯერ მეტია ტყვარჩელის მარაგზე.

მარგანეცის მრეწველობა, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიური კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში არ იძლევა უკანასკნელ წლებში ექსპორტის გაფართოების საშუალებას, მაინც ყოველწლიური ამოღება გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე მენშევიკების დროს იყო.

ჭიათურის მაღაროებში შავიქვის ამოღება შეადგენდა: 1913 წელში 25.930 ტონას, 1919 წელში 54.793 ტონას, 1920 წელში 120.543 ტონას, 1923—24 წელში 324.600 ტონას, 1927—28 წელში 847.000 ტონას, 1928—29 წელში 1.197.860 ტონას, 1932 წელში 409.000 ტონას, 1933 წ. (გეგმით) 600.000 ტონას.

აღსანიშნავია, რომ შავი ქვის ამოღება გაცილებით მეტ ზრდას იძლევა კონცესიონერის [illegible] — მარგანეცის ტრესტის გადასვლის შემდეგ. [illegible] საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგია [illegible] — კერძოთ მეტალურგიის გიგანტები მაგნიტოგორსკი და კუზნეცკი.

წარსულში ჭიათურა წარმოადგენდა რამოდენიმე ათეული წვრილი ერთეულის თავის კერძო მფლობელების და მოიჯარადრეების უამრავი რიცხვით. ახლა კი მთელი წარმოება კონცენტრაცია ქნილია ერთ სამეურნეო გეგმიან ხელმძღვანელობაში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი თუ როგორ ეფექტს იძლევა ეს უკანასკნელი ფორმა.

კონცესიის გაუქმების შემდეგ, ჭიათურის წარმოებაში უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში დაბანდებული იქნა კაპიტალურ მშენებლობისათვის 10,5 მილიონი მანეთი. წინა წლებში კი, როცა წარმოება კერძო მწარმოებლების და კონცესიონერის ხელში იყო, კაპიტალურ მშენებლობას ადგილი არ ქონია.

ჭიათურის მარგანეცი აქამდე მთლიანად მიდიოდა როგორც ნედლი მასალა. მისი ადგილობრივად გადამუშავების შესახებ პრაქტიკულად არ დასმულა საკითხი საბჭოთა ხელისუფლებამდე და არც შეიძლებოდა დასმულიყო, ვინაიდან ჭიათურის კერძო მრეწველები — უცხო ფირმები ამაში დაინტერესებული არ იყვნენ. ჭიათურის მარგანეცის გადამუშავება ფერო-მარგანეცათ, ხდებოდა სხვა ქვეყნებში (გერმანიაში, ნორვეგიაში, ამერიკაში და სხვ.).

ზესტაფონის ფ.-მარგანეცის ქარხანა რომელიც 1 თვის შემდეგ გაშვებული იქნება ექსპლოატაციაში, თავის სიმძლავრით პირველი იქნება საბჭოთა კავშირში. მისი საბოლოო ტევადობა 150 ათას ტონა ელექტრო თერმიულ წესით მიღებულ ფერო-მარგანეცს შეადგენს. 1933 წ. იმუშავებს სამი ელექტროღუმელი, ხოლო 1934 წ. ექვსი. შემდეგ წლებში მოხდება სხვა ღუმელების დადგმა.

საბჭოთა კავშირში ამჟამად არის მხოლოდ ორი ფერო-შენადნობის ქარხანა — ჩელიაბინსკში და დნეპრზე. 250 ათასი ტონა ფერო-მარგანეციდან, რომელიც ნავარაუდევია 1937 წლისათვის, 150 ათასი ტონა დამზადდება ზესტაფონში, როგორც საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ისე ექსპორტისათვის.

ამრიგად საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში მარგანეცის ბაზაზე უმაღლესი ხარისხის მეტალურგიული წარმოებას ჩაუყარა საფუძველი.

[illegible] ამოღების და გადამუშავების [illegible] არ არსებობდა არც ერთი სერიოზული ხასიათის წარმოება. გასაბჭოების შემდეგ წარმოიშვა მთელი რიგი საკავშირო მნიშვნელობის წარმოება.

ანდეზიტის წარმოება (ყაზბეგი და ბაკურიანი) შეიქმნა რამოდენიმე წლის წინათ. ის აკმაყოფილებს საკავშირო ქიმიურ მრეწველობის მთელს მოთხოვნილებას და ითვლება ფრიად მნიშვნელოვან დარგათ. ამ წარმოების შესაქმნელად დაბანდებული იქნა რამოდენიმე მილიონი მანეთი.

ბარიტის წარმოება საკავშირო მნიშვნელობის დარგათ ითვლება. საქართველოს მთელს კავშირში ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს. ლეჩხუმის ბარიტი აკმაყოფილებს შინაურ მოთხოვნილებას და საზღვარ-გარეთაც იგზავნება. ბარიტის ამოღება შეადგენდა: 1913 წ. ათას ტონას, 1927—28 წ. 4,4, 1928—29 წ. 17,2, 1932 წ. 10.8 ტონას.

ქუთაისში მოეწყო ბარიტის სათქვავი ქარხანა. ნედლი ბარიტის საფუძველზე ქუთაისში ეწყობა ლიტოპონის ქარხანა, რომელიც დაამზადებს უმაღლესი ხარისხის საღებავებს.

წარმოიშვა სრულიად ახალი წარმოება— გუმბრინი. ნავთის მრეწველობისათვის დიდი რაოდენობით შემოგვქონდა ამერიკიდან [illegible] თიხა, ნავთის პროდუქტების გასაწმენდათ. [illegible] ადგილობრივმა გუმბრინმა შესცვალა ფლორიდინი. წელს გუმბრინის წარმოება იძლევა 24 ათას ტონა პროდუქციას.

მინერალურ დარგის ახალ წარმოებათა რიცხვში აღსანიშნავია აგრეთვე დიატომიტის წარმოება ახალციხის რაიონში. დიატომიტი მნიშვნელოვან პროდუქტს წარმოადგენს მთელი რიგ საწარმოო დარგებისათვის, ის საგრძნობ რაოდენობით მიდის ექსპორტისათვისაც.

ლითონის მრეწველობის დარგში საბჭოთა ხელისუფლებამდე არც ერთი მანქანათმშენებელი ქარხანა არ ყოფილა. იყო წვრილი კერძო კუსტარული წარმოებები, უმნიშვნელო პროდუქციით. რამოდენიმე წლის განმავლობაში ლითონის მრეწველობის პროდუქცია 4—5-ჯერ გაიზარდა. თუ 1922—23 წელში პროდუქცია (უცვლელ ფასებში) არ აღემატება 2 მილიონ მანეთს, 1933 წელში უკვე ჩვენ გვექნება 11 მილიონი მანეთი. თუ ამას დავუმატებთ თბილისის ახალ მექანიკურ ქარხანას, რომელიც წელს ნაწილობრივად გაშვებული იქნება ექსპლოატაციაში, ეს ციფრი ორჯერ გაიზრდება.

საქართველოში 1933 წელში მუშაობს მანქანა მშენებლობის ექვსი ერთეული (თბილისი, ბათომი) და მთავრდება თბილისის დიდი ქარხანა (35 მილიონი მანეთის წლიური პროდუქციის ტევადობით), რომელიც დაამზადებს დაზგებს და მანქანებს ნავთის მრეწველობისათვის (ტურბო-ბურღები) და გეოლოგიური გამოკვლევებისათვის საბურღავ მოწყობილობას. ეს ქარხანა საკავშირო მნიშვნელობისაა და ის თავის პროდუქციით დააკმაყოფილებს მთელი კავშირის მოთხოვნილებას.

არსებული ქარხნები (26 კომუნ. სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის, კალინინის, ლითონის კონსტრუქციების ქარხანა, ბათომის თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა), თუმცა ახლად არ აშენებულან, მაგრამ პროდუქციის რაოდენობით არავითარი მსგავსება აღარ აქვთ იმ სახელოსნოებთან, რომლის საფუძველზედაც წარმოიშვნენ ისინი. ახლა ისინი მანქანათმშენებლობის წარმოებას წარმოადგენენ, სადაც მზადდება დაზგები და მანქანები.

აბრეშუმის მრეწველობისათვის ჩვენ საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა. ახლა ის მზადდება საბჭოთა კავშირის ყველა რაიონებისათვის თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში.

სამშენებლო მასალების წარმოების დარგში გასაბჭოებამდე არსებობდა მხოლოდ კუსტარული ხასიათის წარმოებები. გასაბჭოების შემდეგ მოეწყო რამოდენიმე აგურის ქარხანა. აშენებულია და მუშაობს ცემენტის ქარხანა, რომლის პროდუქცია ერთ მილიონ კასრ ცემენტს უდრის. კასპის ცემენტის ქარხანა ითვლება კავშირში საუკეთესო წარმოებათ.

1913 წელში აგურის დამზადება საქართველოში 22 მილიონ ცალზე მეტი არ ყოფილა. 1918—20 წლებში ეს ციფრი კიდევ უფრო შემცირდა. ამჟამად კი აგურის წლიური გამომუშავება 130 მილიონს აღემატება. აშენებულია რამოდენიმე ათეული აგურის ქარხანა [illegible].

[illegible] კუსტარული ხასიათის წარმოებას.

საფეიქრო მრეწველობის დარგში მოეწყო ორი მაუდის ფაბრიკა: ქუთაისში საბჭოთა რუსეთიდან არსებული ქარხნის მოწყობილობაა გადმოტანილი და თბილისში სრულიად ახალი მაუდის ქარხნის აშენებით (უკანასკნელი ტექნიკის საფუძველზე), რომლის წლიური სიმძლავრე ორ მილიონ მეტრ მაუდეულზე მეტია. ამ ქარხანაში მზადდება როგორც მაუდი, ისე წმინდა ქსოვილის კამვოლური ნაჭრები, ბევიოტი და სხვ.), რომელიც თავის ხარისხით არ ჩამოუვარდება საზღვარ-გარეთის პროდუქციას.

აბრეშუმის მრეწველობის დარგში აშენებული იქნა რამოდენიმე ახალი ძაფის ამხვევი ქარხანა და ძაფის საგრეხი ქარხანა.

აბრეშუმის ქსოვა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში მხოლოდ კუსტარული წესით სწარმოებდა. ამჟამად თბილისში მუშაობს აბრეშუმის საქსოვი დიდი ფაბრიკა და ქუთაისში მიმდინარეობს ახალი ფაბრიკის მშენებლობა.

გარდა ახალი საქსოვი ფაბრიკისა, თბილისში მუშაობს აბრეშუმის ტრიკოტაჟის ფაბრიკა, რომელიც წლიურად 186 ათასი წყვილ წინდას უშვებს.

სრულიად ახლად შეიქმნა სამკერვალო მრეწველობა. ამჟამად მუშაობს ექვსი სამკერვალო ფაბრიკა, სადაც მუშაობის ყველა პროცესები მექანიზაციქმნილია. გასულ წელს თბილისში დაიწყო დიდი სამკერვალო ფაბრიკის მშენებლობა, რომლის ტევადობა ას მილიონ მანეთ პროდუქციაზე მეტი იქნება.

ტყავის მრეწველობის დარგში, თუმცა ახალი ქარხნები არ აშენებულა, მაგრამ არსებულ ქარხნებში ისეთი დიდი რეკონსტრუქცია გატარდა, რომ ისინი ახალ ქარხნებათ უნდა ჩაითვალოს (მუშაობის მექანიზაცია, ტევადობის რამოდენიმეჯერ გადიდება და სხვ.) ამას თვალსაჩინოთ ამტკიცებს პროდუქციის ზრდა: 1923—24 წ. 30.000 მსხვილი ტყავი, 1932 წელს 103.000 წყვილი.

ასეთივე ზრდას აქვს ადგილი ფეხსაცმელების წარმოებაშიც. თუ 1923—24 წ. დამზადებული იქნა 56 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 1932 წელში — პროდუქცია გაიზარდა 1.077.000 წყვილამდე. წელს დაიწყო თბილისში ფეხსაცმელების დიდი ქარხნის აგება.

მრეწველობის ასეთ ზრდასთან დაკავშირებით რამოდენიმეჯერ გაიზარდა სახალხო მეურნეობაში ჩაბმულ მუშა - მოსამსახურეთა რიცხვი. მომუშავეთა რიცხვი ყველა დარგებში ითვლებოდა: 1919 წელში 70.000, 1925—26 წ. 116.793, 1927—28 წლებში 149.697, 1932 წ. 351.784.

განსაკუთრებულ ზრდას აქვს ადგილი ინდუსტრიალურ დარგებში. 1925—26 წელში მრეწველობაში და მშენებლობაში ითვლებოდა 32 ათასი მომუშავე 1927—28 წელში 39 ათასი და 1932 წელში 130 ათასი. მარტო მშენებლობის დარგში, თუ 1921 წელს ჩაბმული იყო 2.416 მომუშავე, 1932 წელში ეს ციფრი გაიზარდა 45.508 ათასამდე. სამთამადნო დარგში 1921 წელს ჩაბმული იყო 1.500 მომუშავე, 1932 წ. — 16.000.

ზევით მოყვანილი ცნობები უდავოთ ხდის იმას, რომ საბჭოთა სისტემამ, საქართველოს საწარმოო ძალებს, ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებთან და საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებთან ერთად, ბოლშევიკური [illegible] მისცა. სოციალისტური მშენებლობა ჩვენში, ისე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, ყოველდღიურად [illegible], რაც ჩვენ გვაახლოვებს უკლასო საზოგადოების შექმნასთან.

ს. გოდაბრელიძე.

განვამტკიცოთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, გავადიდოთ სოციალისტური მინდვრების მოსავლიანობა

„ჩვენს ქვეყანაში უკვე მოხდა ისეთი ეკონომიური ცვლილებები, რომლებიც სრულ საბუთს გვაძლევენ დაბეჯითებით ვსთქვათ, რომ ჩვენ შევძელით სოფლის გადაყვანა ახალ გზაზე, კოლექტივიზაციის გზაზე, და მით უზრუნველვყავით სოციალიზმის წარმატებით მშენებლობა არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც" (სტალინი)

საქართველოს სოფლის მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 12 წლის თავზე

12 წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც საქართველოს მშრომელებმა, საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების დახმარებით ბოლო მოუღეს მენშევიკური მთავრობის ბატონობას. 12 წელიწადის შემდეგ, რაც საქართველოს მშრომელი გლეხკაცობა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ენერგიულად ჩაება სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის მეოხებით საქართველოში ხელოვნურად ფერხდებოდა მრეწველობის ყოველგვარი განვითარება.

მენშევიკურ ხელისუფლებას სრულიად არაფერი არ გაუკეთებია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. თავადაზნაურობისა და მემამულეების განკარგულებაში მყოფი მიწები თითქმის ხელუხლებელი დარჩა. მენშევიკური ხელისუფლების ბატონობის უკანასკნელ ხანებში ღარიბი და საშუალო გლეხების განკარგულებაში იყო მთელი სახნავ-სათესი მიწების მხოლოდ 20 პროც. სახნავ-სათესი მიწების, ბაღების, ვენახების, ტყეების, საძოვრების, სათიბების უდიდესი ნაწილი აგარაკები და სხვ. ეკუთვნოდა თავადაზნაურობას, კულაკებს, ეკლესია-მონასტრებს და ყველა ჯურის ექსპლოატატორებს.

უმიწაწყლო ღარიბი გლეხობა იძულებული იყო სოფლის წურბელა — ექსპლოატატორებისაგან იჯარით აელო მიწები და არა ადამიანურ, კაბალურ პირობებში დაემუშავებია ის. მენშევიკურ მთავრობას არავითარი გაუმჯობესება, არავითარი ცვლილება არ შეუტანია ღარიბი უმიწაწყლო გლეხების ცხოვრებაში.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იქნა მიღებული გადამჭრელი ზომები სოფლის მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის. ჩვენ გავატარეთ მიწის ნაციონალიზაცია. გავაუქმეთ კერძო საკუთრება მიწაზე. გავდევნეთ მემამულეები და თავადაზნაურები. ჩამოვართვით მიწები ყველა მუქთახორებს, ექსპლოატატორებს და გადავეცით ის ღარიბ საშუალო გლეხკაცობას. აქედან იწყება საქართველოს სოფლის მეურნეობის ნამდვილი აღორძინება, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება, გაჩანაგებისა და სიღატაკის დაძლევა.

კულაკური დამონებიდან თავისუფალი საკოლმეურნეო შრომისაკენ

საბჭოთა ხელისუფლება რასაკვირველია არ დაკმაყოფილდა მშრომელი გლეხობისათვის მიწების უბრალოდ გადაცემით. უდიდესი საკოლმეურნეო მოძრაობა, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირს მოედო წარმატებით ვითარდება ჩვენშიც. ღარიბი და საშუალო გლეხკაცობა, რომელიც თვით ცხოვრებამ დაარწმუნა მსხვილი სოციალისტური მეურნეობის უდიდეს უპირატესობაში წვრილი, დაქუცმაცებულ მეურნეობასთან შედარებით, მასიურად ერთიანდება კოლმეურნეობებში.

1928 წელს, თუ საქართველოში არსებობდა სულ 85 კოლმეურნეობა, რომელშიც გაერთიანებულ იყო მთელი გლეხური მოსახლეობის მხოლოდ 2%, ამჟამად ჩვენ საქართველოში გვაქვს 3.428 კოლმეურნეობა, რომელიც აერთიანებს სოფლის მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტს.

მთლიანი კოლექტივიზაციის ლენინური პოლიტიკის [illegible] გატარების საფუძველზე ჩვენ წარმატებით ვახდენთ კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციას. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 12 წლის თავზე საქართველოში ჩვენ ასეთი მდგომარეობა გვაქვს: კულაკობა, როგორც უკანასკნელი კაპიტალისტური კლასი სოფლად, დარბეული, თავის კალაპოტიდან ამოგდებული და მეურნეობრივად განადგურებულია. გაშლილ სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებით ჩვენ ვახდენთ კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციას და მტკიცედ მივიწევთ წინ უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისაკენ მეორე ხუთწლედში.

კოლმეურნეობებთან ერთად ჩვენში წარმატებით ვითარდება საბჭოთა მეურნეობის მშენებლობა, რომელნიც წვრილი სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაციისა და სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის ეფექტიურად გამოყენების სკოლას წარმოადგენენ.

საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა საქართველოში შესრულებული იქნა დიდი გადაჭარბებით. აი მაგალითად გათვალისწინებული იყო პირველი ხუთწლიანი გეგმით საქართველოში 52 საბჭოთა მეურნეობის მოწყობა 62.106 ჰექტარი მიწის ფართობით, ნამდვილად კი 1932 წლის პირველი იანვრისათვის საქართველოში მოწყობილი იყო 166 საბჭოთა მეურნეობა, 252,962 ჰექტ. მიწის ფართობით.

კოლმეურნეობებს საბჭოთა მეურნეობებთან ერთად საქართველოში უჭირავთ მთელი სახნავ-სათესი ფართობის დაახლოვებით 50 პროცენტი. **ტექნიკური კულტურების ხაზით კი სოციალისტურ სექტორმა საქართველოში უკვე კარგა ხანია დაიპყრო გაბატონებული ადგილი.**

ამგვარად საქართველოს ღარიბმა და საშუალო გლეხობამ, რომლებმაც კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით გააძევა თავადაზნაურობა და მემამულეები, ბოლო მოუღო კულაკების ბატონობას, წარმატებით აშენებს კოლმეურნეობებს და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ მშენებლობის გზაზე გმირულად ლახავს ყველა სიძნელეებს.

საქართველოს ღარიბმა და საშუალო გლეხობამ გადაჭრით იბრუნა პირი სოციალიზმისაკენ, საკოლმეურნეო მშენებლობისაკენ, კულაკური დაბრკოლებიდან თავისუფალი საკოლმეურნეო შრომისაკენ.

ტექნიკურ კულტურების განვითარების გზით

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლიდანვე საქართველოში პარტიის და ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ კოლოსალურ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენებას, რომელიც ჩვენ მოგვებოვება ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების განვითარების დარგში.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის გაძლიერებამ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გიგანტური ტემპებით გაშლამ, საშუალება მოგვცა საუკუნეებით გაუტეხავი და დაუმუშავებელი ნაკვეთების ათვისების და აგრეთვე ნაკლებად რენტაბელური მარცვლეული კულტურების ხარჯზე გაგვედიდებია ტექნიკური კულტურების ფართობი. ტექნიკური კულტურების განვითარებას ჩვენში, სახნავ-სათესი მიწების მწვავე დეფიციტის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ერთის მხრივ სოფლის მშრომელი მასების მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და მეორეს მხრივ ჩვენი სოციალისტური მრეწველობის საკუთარი ნედლეულის ბაზით უზრუნველყოფის ამოცანები გვიკარნახებდენ მთელი ძალები და მთელი ენერგია მოგვეხმარებია ისეთ რენტაბელურ და შრომის ტევად კულტურათა განვითარებისათვის როგორიცაა **ჩაი, თამბაქო, ბამბა, ვენახი, ციტრუსები, ჭარხალი და სხვ.**

მენშევიკური პარტიის ბატონობის პირველ წელს ყველა ტექნიკური კულტურების ფართობი საქართველოში შეადგენდა 14.000 ჰექტარს. 1920 წელს კი ტექნიკური კულტურების ეს ფართობი 9.700-მდე დავიდა, არსებული მრავალწლიანი ნარგავები გაჩანაგდა, მთელი რიგი ტექნიკური კულტურების პლანტაციები, რომელიც აქა იქ იყო გაფანტული, სავსებით განადგურდა.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ სერიოზულ ღონისძიებათა შედეგად, 1933 წლისათვის ტექნიკური კულტურების ფართობი საქართველოში შეადგენს 60.000 ჰექტარზე მეტს.

ტექნიკური კულტურების ხუთწლიანი გეგმა საქართველოში შესრულებული იქნა 111 პროცენტით, აქედან ჩაის განვითარების გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით, თამბაქოს 105 პროც., ბამბის 107 პროცენტით და სხვ.

ტექნიკური კულტურების განვითარების, სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების და უდიდესი სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა გეგმების შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოში კაპიტალური დაბანდებები სოფლის მეურნეობაში ჯერ არ ნახული ტემპებით გაიზარდა. მარტო ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდება მარტო საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხაზით შეადგენს ორას მილიონ მანეთზე მეტს.

ეს თანხა დაბანდებულია ისეთ რთულ და სერიოზულ საქმეზე როგორიცაა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სას. სამ. პროდუქტების გადამუშავება, საწარმოთა მშენებლობა, ინტენსიფიკაცია, მელიორაცია, ირიგაცია და სხვ.

წყალთა მეურნეობის ხაზით ჩატარებულ უდიდეს მუშაობის შემდეგ სახნავ-სათეს მიწებს შემატა მრავალი ათეული ათასი ჰექტარი ახალი მიწები. ასე მაგალითად ალაზნის არხის დამთავრების შემდეგ შესაძლებელი გახდა 45.000-ზე მეტი მიწის დამუშავება ალაზნის ველზე, რომელიც დღემდე გამოუყენებელი იყო. გორის რაიონში სახნავ-სათეს მიწებს შემატა 30.000 ჰექტარი მიწა, რომლის დამუშავებაც შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ ტირიფონის უდიდესი სარწყავი არხის მშენებლობის დამთავრების შემდეგ. გაყვანილი იქნა მთელი რიგი ახალი არხები და აღდგენილი ძველი არხები, სიღნაღის, ქუთაისის, ბორჩალოს, ყარაიას, და სხვ. მთელ რიგ რაიონებში.

ამჟამად სწარმოებს მეტად დიდმნიშვნელოვანი მუშაობა დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ჭაობების ამოსაშრობად. დაწყებულია კოლხიდის გრანდიოზული პრობლემის გადაჭრა. მეორე ხუთწლედში კოლხიდის ჭაობების ამოშრობით დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონას მიემატება რამოდენიმე ათეული ათასი ჰექტარი სავსებით ახალი მიწები რომელიც მთლიანად გამოყენებული იქნება ძვირფასი ტექნიკური კულტურების განსავითარებლად. ამასთან კოლხიდის პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით მშრომელ მოსახლეობას საშუალება მიეცა თავი დააღწიოს მალარიას, რომელიც საუკუნოების განმავლობაში გამანადგურებელ ზიანს აყენებს მშრომელთა ჯანმრთელობას.

ტექნიკური კულტურების ფართო მაშტაბით განვითარებისათვის საქართველოში იქმნება უდიდესი პერსპექტივები.

იზრდება სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება

ყველა ზემოხსენებულ გრანდიოზულ მიღწევათა მოპოვება შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის განმტკიცებით. პარტიის გენერალური ხაზით მტკიცედ გატარების შედეგად ჩვენ შევძელით შეგვექმნა მთელს მსოფლიოში უძლიერესი სატრაქტორო მრეწველობა. ჩვენი მანქანათმშენებლობის გიგანტები უკვე მასიური მაშტაბით ამზადებენ ტრაქტორებთან ერთად სალეწებს, კომბაინებს, სათესი და სათიბ მანქანებს და მთელ რიგ რთულ სამეურნეო ინვენტარს.

მენშევიკური ხელისუფლების ბატონობის დროს თუ საქართველოს სოფლის მეურნეობა მანქანა-იარაღების გავრცელების მხრივ საშუალო საუკუნის დონეს არ გასცილებია, ამჟამად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 12 წლისთავზე ჩვენ სრულიად სხვა მდგომარეობა გვაქვს.

ამჟამად საქართველოში ირიცხება 26 სამანქანო-სატრაქტორო სადგური 600-ზე მეტი ტრაქტორით. ტრაქტორის საერთო რაოდენობა საქართველოში 1.300 აღემატება.

მიმდინარე წელს მთელი სახნავ-სათესი მიწების დამუშავების და მრავალწლიან ნარგავებისათვის ნიადაგის მომზადების გეგმის დაახლოვებით ერთი მესამედი შესრულებული იქნება ტრაქტორებით. ეს უდიდესი ნაბიჯია წინ, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და მისი ტექნიკური შეიარაღების დარგში.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ჯერ კიდევ პირველი ხუთწლიანი გეგმით საქართველოში განზრახული იყო ტრაქტორებს გარდა მთელი რიგი სხვა სასოფლო - სამეურნეო მანქანა-იარაღების შემოზიდვის გაძლიერება. ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპების თანმიმდევრობით გატარებამ ჩვენ საშუალება მოგვცა მანქანა-იარაღების გავრცელების ხუთწლიანი გეგმა შეგვესრულებინა გადაჭარბებით. კიდევ მეტი პირველ ხუთწლედში საქართველოში შემოვიტანეთ საბჭოთა ქარხნებში დამზადებული მთელი რიგი რთული მანქანა - იარაღები, რომლის შემოზიდვაც გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ასე მაგალითად 1932 წელს საქართველოს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე პირველად ამუშავდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა — **კომბაინი**.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციასთან დაკავშირებით იზრდება ტექნიკური და მასიური კვალიფიკაციის კადრების რიცხვი. ჩვენ წარმატებით ვეუფლებით მსხვილ სოციალისტური მეურნეობის და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ტექნიკას.

წინ ახალ გამარჯვებებისაკენ

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა გიგანტური ნაბიჯით მიიწევს წინ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზაზე მაგრამ ჩვენ არ ვეძლევით თვით კმაყოფილებას მოპოვებული წარმატებების გამო, ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, ჯერ კიდევ მრავალი დაბრკოლებები და სიძნელეებია გადასალახავი.

ამასთან დაკავშირებით ამხ. **სტალინის** მითითების თანახმად, ამჟამად მთელი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობაში ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულად განმტკიცებას და მოსავლიანობის აწევას.



კულაკური ელემენტები კონტრრევოლუციონური ტროცკიზმის და მენშევიზმის ნამსხვრევები, მემარჯვენე ოპორტუნისტები და „მემარცხენე" გადამხვევები ცდილობენ დააბრკოლონ ჩვენი წინსვლა და ზიანი მიაყენონ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას. დასაღუპავად განწირული კაპიტალისტური კლასების ნაშთები ლამობენ წინ აღუდგენ სოციალისტური მშენებლობის გიგანტურ წინსვლას.

საქართველოს მუშათა კლასის კოლმეურნეების, და ღარიბ საშუალო გლეხთა მასების ვალია კიდევ უფრო მტკიცედ შეამჭიდროონ თავიანთი რიგები კომუნისტური პარტიის გარშემო და მისი ხელმძღვანელობით აწარმოონ გადამჭრელი ბრძოლა კულაკურ საბოტაჟის აღსაკვეთად, ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერთა მავნებლური მოქმედების გამოსააშკარავებლად და მათ გასანადგურებლად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 12 წლისთავს ჩვენ ვხვდებით უდიდესი წარმატებებით სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განვამტკიცოთ ეს მიღწევები და ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ ახალი გამარჯვებების მოპოვებისათვის.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 12 წ. თავის შესრულებასთან დაკავშირებით ჩვენი საბრძოლო ლოზუნგი უნდა იქნეს **კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველმხრივ განმტკიცება, საგაზაფხულო თესვის კამპანიის საბრძოლო დავალებების ვადაზე შესრულება, მოსავლიანობის ყოველმხრივ გადიდება, კოლმეურნეთა მასების მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება და გადამჭრელი ბრძოლა კულაკური საბოტაჟის ორგანიზატორთა წინააღმდეგ, რომელიც ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის შეფერხებას ლამობენ.**

სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში მიღწეულ გამარჯვებების განმტკიცებით წინ ახალი მიღწევებისაკენ.

საქართველოს კვების ინდუსტრია საბჭოთა ხელისუფლების 12 წლისთავზე

საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ ისეთ რაიონს, რომელსაც ნედლეულის მხრით აქვს უდიდესი შესაძლებლობა კვებ-კვების მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგების ფართოდ გაშლისათვის.

რევოლუციის წინადროიდან და მენშევიკების ბატონობიდან ჩვენ მემკვიდრეობად დაგვრჩა კუსტარული ტიპის კვებ-კვების მრეწველობა, რომელიც ძალზე უმწეო იყო ტექნიკური შეიარაღების მხრივ.

მენშევიკების ბატონობამ გამოიწვია კვების მრეწველობის სრული დაშლა, ვინაიდან ნედლეულის რესურსები მრეწველობის ამ დარგში საგრძნობლად შემცირდა.

კვებ-კვების მრეწველობის განვითარებაში დიდი გარდატეხა დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში და, განსაკუთრებით, პირველი ხუთწლედის მანძილზე.

მრეწველობის ცალკე დარგების მიხედვით მეორე ხუთწლედის დასაწყისისათვის ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი.

თამბაქოს მრეწველობა. საქართველოს თამბაქოს მრეწველობის ზრდის დინამიკა საერთო პროდუქციის მხრივ ნატურალურ გამოხატულებაში უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე ასეთ სურათს იძლევა: 1930 წელს თამბაქოს მრეწველობამ გამოუშვა 1.1850 მილიონი ცალი პაპიროსი, თუ 1922-23 წელს თამბაქოს მრეწველობამ მოგვცა 506,0 მილიონი მოსაწევი ერთეული, 1932 წელს პროდუქცია უკვე აღწევს 3.615,0 მილიონ ცალს ამგვარად, 1932 წელი იძლევა ზრდას 205,1 პროცენტით 1913 წელთან შედარებით და 614,5 პროცენტით 1922—23 წელთან შედარებით.

კონსერვების მრეწველობა. კონსერვის მრეწველობას ჰქონდა მარტო მცირე ძალოვანი, ნახევრად კუსტარული ტიპის ქარხანა. პირველ ხუთწლედში აგებული იქნა მექანიზებული ქარხანა (გორში), რომლის ნაყოფიერება უდრის 10 მილიონ პირობით ქილას წელიწადში. პირველ ხუთწლედში ქარხანამ გამოუშვა 19 მილიონამდე ქილა კონსერვი ერთი მხრით, მოთხოვნილების ზრდამ კონსერვებზე და, მეორე მხრით, ნედლეულის საკმაო რაოდენობის არსებობამ საჭირო გახადეს ახალი მსხვილი ქარხნის აშენება (ქუთაისში), რომლის პროდუქცია ნავარაუდევია 20,000 მილიონ პირობითი ქილის რაოდენობით, ქარხნის აშენებაზე დაიხარჯება 6 მილიონი მანეთი, მისი ამუშავება განზრახულია მიმდინარე წლის მეორე კვარტალში.

საშაქარლამო მრეწველობა. საშაქარლამო მრეწველობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სათანადოთ არ ყოფილა განვითარებული, იგი უმთავრესად თავმოყრილი იყო წვრილი მწარმოებლების და შინამრეწველების ხელში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება

(გაგრძელება. იხ. მე-4 გვერდზე)

საქართველოს კულტურული ფრონტი

სოციალისტური მშენებლობის მიღწევების საფუძველზე, მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწია კულტურული მშენებლობის დარგში. ხუთწლედის შედეგებმა მთლიანად და სავსებით დაადასტურეს ლენინის და სტალინის შეხედულებათა სისწორე კულტურული რევოლუციის სფეროში.

საბჭოთა ხელისუფლების დროს აყვავდა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

ი. სუხანოვის წერილების შესახებ ლენინი სწერდა:

„თუ სოციალიზმის შესაქმნელად საჭიროა კულტურის განსაზღვრული დონე (თუმცა არავის არ შეუძლია სთქვას — როგორია კულტურის ეს განსაზღვრული დონე), რატომ არ შეიძლება დავიწყოთ ჯერ იქიდან, რომ რევოლუციური გზით შევქმნათ წინაპირობები ამ განსაზღვრულ დონისათვის, ხოლო შემდეგ უკვე მუშურ-გლეხური ხელისუფლების და საბჭოთა წყობილების საფუძველზე, დავიძრათ იმისათვის, რათა დავეწიოთ სხვა ხალხებს".

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო შექმნა პირობები იმისათვის, რომ პროლეტარიატის ხელისუფლების საფუძველზე დავეწიოთ სხვა ხალხებს და წავსულიყავით წინ კულტურული რევოლუციის დარგში. კულტურული რევოლუციის ლოზუნგი, რომელიც წამოაყენა საკ. კ. პ. (ბ) მე-15 ყრილობამ, მთლიანად, და სავსებით გამართლებულია ამ უკანასკნელ წლებში. პირველი ხუთწლედში დიდი იყო კულტურული რევოლუციის გაქანება, ფართოდ გაიშალა დაწყებითი და საშუალო სკოლების ქსელი და კადრების მომზადება. პირველი ხუთწლედის შედეგად საბჭოების ქვეყანას აქვს მსოფლიო-ისტორიული მიღწევები. ჩვენი ქვეყანა აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიალურ ქვეყნად, დაიკავა რა მან მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი.

სოფლის მეურნეობის დარგში — საბჭოთა ხელისუფლებამ დაიკავა პირველი ადგილი. მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შექმნის საქმეში გლეხთა [illegible] ორი მესამედი შევიდა კოლმეურნეობებში. კულაკობა, როგორც კლასი, განადგურებულია, თუმცა ჯერ საბოლოოდ არ არის მოსპობილი, და ჩვენი ქვეყანა, ინდუსტრიალური განვითარების და მსხვილ საკოლმეურნეო მშენებლობის საფუძველზე, გადაიქცა საერთაშორისო პროლეტარიატის კაპიტალიზმისაგან დამოუკიდებელ ქვეყნად.

ყოველივე ეს წარმოადგენს კულტურული რევოლუციის გიგანტური ტემპების შედეგს მეფის იმპერიის ყოფილ კოლონიაში — საქართველოში.

ძირითადი ამოცანები, რომელიც დასახული იყო საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე კულტურის დარგში, გადაჭრილია წარმატებით.

ჩვენი წარმატებების მაჩვენებელს წარმოადგენს საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელება. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ საქართველოში [illegible] რაიონების ჩათვლით ვამთავრებთ საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარებას 4 წლიანი ფარგლებში. ამასთან ერთად მთავრდება საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღება 7 წლედის ფარგლებში ქალაქებსა და სამრეწველო რაიონებში აგრეთვე სპეციალური ტექნიკური კულტურების და მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში. 1933 წლის განმავლობაში ხდება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ ჩვენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგებისათვის საჭირო ახალი კადრების მომზადების საქმეში. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში უმაღლეს სასწავლებლების და ტექნიკუმების მოსწავლეთა რიცხვი ხუთჯერ და კიდევ მეტად გადიდდა, ხოლო პირველი ხუთწლედის განმავლობაში — სამჯერ და კიდევ მეტად, ხუთწლედის ვარაუდებთან შედარებით.

მეტად საინტერესოა ცნობები, რომლებიც ახასიათებენ ცარიზმის, მენშევიკების და საბჭოთა საქართველოს პერიოდს მასიური განათლების ძირითადი დარგების მხრივ. მაგალითისათვის მოგვყავს სკოლის ასაკამდე აღზრდის შემდეგ ცნობებს.:

1914—15 წელს იყო ორი საბავშვო ბაღი.

1920—21 წელს (მენშევიკების პერიოდი) — 5 საბავშვო ბაღი 237 მოსწავლით.

1932—33 წელს — 703 საბავშვო ბაღი და კერა, რომლებშიაც სწავლობდა 36.100 ბავშვი, ხოლო 1933—34 სასწავლო წლისათვის გვექნება 757 საბავშვო ბაღი 46.275 მოსწავლით.

1914—15 წ. იყო 1.442 პირველი კონცენტრის სკოლა 91.688 მოსწავლით, 1920—21 წ. (მენშევიკების პერიოდი) — 1.745 სკოლა 136.288 მოსწავლით. მენშევიკების დროს სკოლებში ჩაბმულ 8-11 წლის ასაკის ბავშვთა პროცენტი არ აღემატებოდა 30-ს. 1932—33 სასწავლო წელს ჩვენ გვაქვს 3.937 სკოლა, რომლებშიაც სწავლობს 419.150 კაცი.

1933—34 წლისათვის გვექნება 3.957 სკოლა 429.900 მოსწავლით.

ბავშვების ჩაბმა სკოლებში უზრუნველყოფილი იქნება მთელი 100 პროცენტით ყველა ჩამორჩენილ და ნაცუმცირესობათა რაიონების ჩათვლით.

1914—15 წელს იყო მეორე კონცენტრის 251 სკოლა 40.925 მოსწავლით. 1920—21 წელს (მენშევიკების პერიოდი) — 179 სკოლა 24.691 მოსწავლით.

1932—33 სასწავლო წელს კი ჩვენ გვაქვს 1.238 სკოლა, რომლებშიაც სწავლობს 123.360 მოსწავლე, ხოლო 1933—34 წლისათვის გვექნება 1.280 სკოლა 158.155 მოსწავლით, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ მეორე კონცენტრის სკოლაში ჩაბმული იქნება 12—14 წლის ასაკის მოზარდთა 67,8 პროცენტი.

საქართველო წარმოადგენდა მეფის რუსეთის კოლონიას და კულტურულის მხრივ იგი ძალიან დაბალ დონეზე იდგა. საქართველოში [illegible] ინერგებოდა განათლების რუსიფიკატორული პოლიტიკა.

მენშევიკების მთავრობას ამ მხრივ თითქმის არაფერი არ გაუკეთებია და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოკიდა ხელი ამ უდიდეს საქმეს, რათა აემაღლებია კულტურა. არა მარტო საქართველოს ძირითად მოსახლეობის შორის, არამედ ნაციონალურ უმცირესობათა შორისაც. მეფის რუსეთიდან და „დემოკრატიული" რესპუბლიკიდან საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო [illegible] სკოლა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამზადებდა მოხელეებს და კანცელარიის მუშაკებს.

საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა არა მარტო სახალხო განათლების ძირითადი სისტემის რეორგანიზაცია, არამედ ამასთან ერთად ისეთი სასწავლებლების ქსელის მოწყობაც, რომლებიც ამზადებენ კადრებს უდიდესი სოციალისტური მშენებლობისათვის.

იმ მიზნით, რომ განვეხორციელებია პარტიის პროგრამა „ორივე სქესის ყველა ბავშვებისათვის 17 წ. ასაკამდე უფასო და სავალდებულო საერთო და პოლიტიკური (რომელსაც მოსწავლეები თეორიულად და პრაქტიკულად ეცნობიან წარმოების ყველა მთავარ დარგებს) განათლების, ჩატარების შესახებ (საკ. კ.პ. (ბ) პროგრამა), აგრეთვე იმ მიზნით, რომ სასწრაფოდ აგვემაღლებია საშუალო სკოლის მოსწავლეთა საერთო განათლების და პოლიტექნიკური მომზადების დონე, გაგვედიდებია მომზადებული კონტინგენტები უმაღლესი სკოლისათვის და აღმოგვეფხვრა ასაკობრივი შეუფარდებლობა საშუალო და უმაღლეს სკოლას შორის, 1932—33 წლიდან ჩვენ შევუდექით „შვიდწლიანი პოლიტექნიკური სკოლის გადაკეთებას ათწლიან სკოლებად".

1932—33 სასწავლო წელს ჩვენ გვაქვს 56 ასეთი რეორგანიზებული სკოლა, რომლებშიაც სწავლობს 2.100 მოსწავლე. პოლიტექნიკურ სკოლასთან ერთად ჩვენში პირველი ხუთწლედის მანძილზე განსაკუთრებით გაშლილი იყო კადრების მოსამზადებელ და გადასამზადებელ უმაღლეს და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების ქსელი. მაგალითად, მეფის რეჟიმის დროს სულ იყო 11 სპეციალური სასწავლებელი 1.360 მოსწავლით, მენშევიკების პერიოდში — 8 სპეციალური სასწავლებელი 959 მოსწავლით, ხოლო 1932—33 წელს ჩვენ გვაქვს 176 ტექნიკუმი, რომლებშიაც სწავლობს 25.257 კაცი.

მეფის რეჟიმის დროს საქართველოში იყო ერთი უმაღლესი სასწავლებელი — თბილისში (ქალთა უმაღლესი კურსები), რომელშიაც ირიცხებოდა 314 მოსწავლე. მენშევიკების დროს — 4 უმაღლესი სასწავლებელი 5.948 მოსწავლით, ამჟამად კი ჩვენ გვაქვს შემდეგი უმაღლესი სასწავლებლები,

სახელმწიფო უნივერსიტეტი — 2.973 კაცი, პედაგოგიური ინსტიტუტი — 700 კაცი, სამხატვრო აკადემია — 120 კაცი, კონსერვატორია — 350 კაცი, 6 სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებელი — 3.152 კაცი, სამედიცინო ინსტიტუტი — 1.951 კაცი, საინჟინრო - სამშენებლო ინსტიტუტი — 1.492 კაცი, ქიმიურ - ტექნოლოგიური ინსტიტუტი — 605 კაცი, [illegible] გზათა საინჟინრო ინსტიტუტი — 1.205 კაცი, კავშირგაბმულობის საინჟინრო ინსტიტუტი — 240 კაცი და სხვა ინსტიტუტები.

სულ საქართველოს ტერიტორიაზე 1932 წლის დამდეგს იყო 18 უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და 1 უნივერსიტეტი, რომლებშიაც სწავლობდა 16.105 სტუდენტი (გარდა ოზურგეთის და სოხუმის ინსტიტუტებისა).

ტექნიკურ რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, ჩვენმა მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ მოითხოვა დიდძალი სპეციალისტების და კვალიფიკაციის მქონე მუშა-ხელის [illegible] მუშების მოსამზადებლად და [illegible] სპეციალური საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, მუშათა [illegible], საბჭოთა მეურნეობების სკოლები. თუ მეფის რეჟიმის და მენშევიკების დროს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ მუშა-ხელის მომზადების ასეთ სისტემაზე, 1932—33 სასწავლო წელს ჩვენ გვაქვს 44 საფაბრიკო-საქარხნო სკოლა 9.732 მოსწავლით, ხოლო 19 საბჭოთა მეურნეობების სკოლა 2.500 მოსწავლით. აგრეთვე გაიშალა მუშფაკების ქსელი და კადრების დაუსწრებელი მომზადება.

სასწავლებლების და მოსწავლეთა რიცხვის ზრდასთან ერთად გაიზარდა სამეცნიერო საგამოკვლევო და სამეცნიერო დაწესებულებების და საზოგადოებების რიცხვიც.

თუ მენშევიკების დროს ჩვენში სულ იყო 17 ასეთი დაწესებულება, ამჟამად მათი რიცხვი 145-ს აღწევს. იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში იხურება უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო ინსტიტუტები, იზრდება ტექნიკური კადრების უმუშევრობა და ხდება მათი დეკვალიფიკაცია, იმ დროს, როცა უმაღლეს სასწავლებლებში კურს-დამთავრებულებს არა აქვთ საშუალება არამც თუ მოიწყონ თავის სპეციალობის მიხედვით არამედ იშოვონ რაიმე სამუშაო, იმ დროს, როცა მცირდება სტუდენტთა ლტოლვა უმაღლესი სასწავლებლებისაკენ, როცა კაპიტალი იძულებულია დაკარგოს თავისი ხელმძღვანელი კადრები, როცა სულ უფრო და უფრო ვრცელდება თეორია იმის შესახებ, რომ არ არის საჭირო მეცნიერების და ტექნიკის პროგრესი და ადგილი აქვს მეცნიერული აზრის დეგრადაციას, ამ დროს საბჭოთა კავშირში განსაკუთრებული ტემპებით იზრდება კულტურა ყველა დარგების მიხედვით.

მეფის რეჟიმისა და „დემოკრატიული" რესპუბლიკებისაგან საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობად მიიღო წერა-კითხვის თითქმის სრული უცოდინარობა. საქართველოში მეფის დროს და მენშევიკების პერიოდში წერა-კითხვის მცოდნე იყო არა უმეტეს 20 პროცენტისა. საბჭოთა ხელისუფლებას მოუხდა უდიდესი მუშაობის ჩატარება იმ მიზნით, რომ მოეხდინა წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია, როგორც ძირითად მოსახლეობას, ისე ნაცუმცირესობათა შორის, სადაც წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი არ აღემატებოდა 5 პროცენტს. იმ მიზნით, რომ გადაექცია ჩვენი ქვეყანა წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყნად, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაატარა უდიდესი მუშაობა, მან წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტებში გაატარა 900.000-დე უცოდინარი და 250.000 მცირე მცოდნე, აიყვანა რა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 86 პროცენტამდე. წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, კულტურის საერთო დონის ასამაღლებლად საჭირო იყო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა—ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, კლუბები, თეატრები, კინო რადიო-ქსელის გაშლა, განსაკუთრებით კი სოფლად. თუ მეფის რეჟიმის დროს ჩვენში სულ იყო დაახლოებით 120 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, მათ შორის: ბიბლიოთეკა—4, კლუბი—3, სამკითხველო—89, კინო—1, თეატრი—3 და 1920—21 წელს—162 ასეთი დაწესებულება. 1932—33 წელს მათი რიცხვი აღწევს 13,000-ს მათ შორის: ბიბლიოთეკა—110, კლუბი—93, სამკითხველო—801, კინო—136, რადიო-წერტი—16.200, თეატრი—40. 1933—34 წელს გვექნება: ბიბლიოთეკა—115, სამკითხველო—900, კინო—159, რადიო—24.000 წერტი, თეატრი—47.

ჩვენს რესპუბლიკანურ სახელმწიფო თეატრებს უდიდესი მიღწევები აქვთ როგორც იდეოლოგიურ, ისე მხატვრული მხრივაც და მათ ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავიათ საბჭოთა კავშირის ხალხთა თეატრებს შორის.

დიდი მუშაობა ჩატარდა ფართო მასების ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში.

ამრიგად, ბურჟუაზიულ ქვეყნებში კულტურა და მეცნიერება ემსახურება მშრომელი მასების ექსპლოატაციის და ჩაგვრის საქმეს, ჩვენში კულტურა და მეცნიერება ემსახურება სოციალიზმის მშენებლობის საქმეს, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის საფუძვლების ლიკვიდაციის საქმეს, ასეთი წარმატებები და ტემპები არ უნახავს არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს, ჩვენ,—საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ—1921 წელს,—დავამხეთ რა მენშევიკების ბატონობა, შევქმენით საჭირო პოლიტიკური და ეკონომიური წინაპირობები კულტურული რევოლუციისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლებისათვის.

ახალი სკოლების ქსელი იმდენათ ფართოდ გაიშალა, რომ ახალი სასკოლო შენობების მშენებლობამ ვერ შესძლო მისი დაკმაყოფილება.

ამიტომ ხარისხის საკითხი პირველი ხუთწლედის ბოლოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს; თუ შევადარებთ ხარჯებს კულტ. მშენებლობაზე მენშევიკების პერიოდში უკანასკნელ პერიოდთან დავინახავთ, რომ მენშევიკების დროს სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით კულტურულ მშენებლობაზე იხარჯებოდა სულ არა უმეტეს 4 პროცენტისა, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით 18 პროცენტი, მაშინ როდესაც უკანასკნელ წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით იხარჯება 30 პროცენტზე მეტი საერთო სახელმწიფო ბიუჯეტიდან და 46.47 პროცენტი ადგილობრივი ბიუჯეტით. ეს მაჩვენებლები თავისთავად ლაპარაკობენ, თუ რამდენად იზრდება ბიუჯეტი ყოველ წლობით.

ასე მაგ. 1931 წელს სახალხო განათლებაზე (საშუალო კადრებისათვის საჭირო ხარჯების გამოკლებით) დაიხარჯა 46.103 ათასი მანეთი, 1932 წელს 67.245 ათასი მანეთი. ხოლო 1933 წელს განზრახულია დაიხარჯოს 83.733 ათასი მან. — 18.500 ათასი მანეთი სახელმწიფო ბიუჯეტით და 65.233 ათასი მან. ადგილობრივი ბიუჯეტით.

კულტმშენებლობაზე მატერიალური ხარჯების გადიდებასთან დაკავშირებით იზრდება ნორმატიული მაჩვენებლები და, მოწაფის ღირებულება, რაც განსაკუთრებით გავლენას ახდენს როგორც უმაღლესის და საშუალო სკოლების, ისე სპეციალური ტექნიკუმების, უმაღლეს სასწავლებლების მუშაობის ხარისხზე.

თვითეული მოწაფის ღირებულება პირველი საფეხურის სკოლაში პირველი ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებული იყო 49 მან. 70 კაპ., მაშინ როცა ფაქტიურად იხარჯებოდა 58 მან. რაოდენობით. პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებლების ხელფასი პირველი ხუთწლედის განმავლობაში გაიზარდა 89,5 მანეთამდე, ნაცვლად ნავარაუდევ 75 მანეთისა მეორე საფეხურის სკოლის მასწავლებელთა ხელფასი გაიზარდა 127 მან. 25 კაპ.-მდე; ნაცვლად ნავარაუდევ 120 მანეთისა.

ასეთი ზრდის საფუძველზე და სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით 1933 წლისათვის განზრახულია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ხარჯების გადიდებას პოლიტექნიზაციისა და სამოსწავლო - საოპერაციო ნაწილის ხაზით.

თუ ხუთწლედის განმავლობაში მასიური განათლების ხაზით მთელი ხარჯების მაქსიმალური პროცენტი ხმარდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ხელფასის ხარჯების დაფარვას, 1933 წლისათვის განზრახულია პოლიტექნიზაციის და სამოსწავლო ოპერაციული ნაწილის ხაზით საჭირო ხარჯების ხვედრითი წონის გადიდება: თუ პირველ კონცენტრში პოლიტექნიზაციის ხაზით 1932 წელს ერთ მოწაფეზე იხარჯებოდა 3 მანეთი 60 კაპ., 1933 წელს დაიხარჯება 4 მან. 25 კაპ., ხოლო მეორე კონცენტრში ნაცვლად 9 მან. და 20 კაპ. დაიხარჯება 10 მან. და 80 კაპ.

ამიტომ ეხლანდელ საფეხურზე კულტ-მშენებლობის ყველა დარგში ჩვენ მწვავედ ვაყენებთ საკითხს მაღალ ხარისხობრივ მაჩვენებლების სწრაფად მიღწევის შესახებ. მასიური განათლების ქსელის შემდგომი ენერგიული გაშლა აუცილებლად შეთავსებული უნდა იქნეს მაღალ ხარისხობრივ მაჩვენებლებთან, რათა სახალხო განათლების და კომუნისტური აღზრდის მთელი საქმე ამაღლებულ იქნეს იმ მოთხოვნილებათა სიმაღლეზე, რომელთაც გვიყენებენ უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების და მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრების ამოცანები. ყველა ეს მიღწევები კულტურული მშენებლობის დარგში შედეგია მუშების და მშრომელი გლეხების უდიდესი აქტივობის მუშაობის ახალი მეთოდებისა და ფორმების, გადამწყვეტი ბრძოლის პარტიის დირექტივების და ამხ. სტალინის მითითებების შესრულებისათვის. შეურიგებელი ბრძოლის პარტიის პოლიტიკის ყოველგვარი ოპორტუნისტული, ანტი - ლენინური გადამახინჯებათა წინააღმდეგ სახალხო განათლების დარგში, კერძოდ საბჭოთა პოლიტექნიკური სკოლის მშენებლობის საქმეში სპეციალისტების ახალი კადრების მომზადებაში სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის.

კულტურული რევოლუციის ძირითად ამოცანებს მეორე ხუთწლედში წარმოადგენენ სკოლამდე საყოველთაო სწავლების განხორციელება, ხუთწლედის ბოლომდე სკოლამდე სწავლების დაწესებულებებში ბავშვების ჩაბმა 4-დან 6 წლამდე, 7 წლიანი საყოველთაო სწავლების გატარება და, მასიური სკოლის მუშაობის ხარისხის ამაღლება, იმ მოთხოვნილებათა დონემდე, რომელთაც გვიყენებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება პირველდაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ (5 სექტ.—31 წ. 25 აგვისტ.—32 წ.), პოლიტექნიზმის დანერგვა სახ. განათლების მთელ სისტემაში და სკოლების პოლიტექნიკური გარდაქმნის მიღწევა პარტიის დადგენილებათა საფუძველზე სკოლის შესახებ; 10 წლიანი პოლიტექნიკური სკოლის გაშლა იმ მიზნით, რომ შევძლოთ პარტიის პროგრამის მოთხოვნილებათა განხორციელება საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ ყველა ბავშვებისათვის 17 წლამდე, უმაღლეს და საშუალო ტექნიკური სკოლის გარდაქმნა საკავშირო ცაკის 19 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე, კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესება პროფტექნიკური სკოლის მთელს სისტემაში, სტაბილური სახელმძღვანელოების შექმნა, მასწავლებლის როლის და მნიშვნელობის ამაღლება; ლენინის ანდერძის მიხედვით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას იანვრის პლენუმმა წამოაყენა ლოზუნგი ახალ საწარმოთა და ახალი ტექნიკის ათვისების, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ორგანიზაციული განმტკიცების შესახებ, რაც ნიშნავს სოციალისტური მშენებლობის ტემპისათვის ბრძოლის ამაღლებას ახალი ხარისხის დონემდე.

ბრძოლა ხარისხისათვის მთელი სახალხო მეურნეობისათვის, კერძოდ, და განსაკუთრებით კულტურული ფრონტისათვის წარმოადგენს კულტურული რევოლუციის ძირითად პრობლემას მეორე ხუთწლედში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკამ თავისი ისტორიულ გადაწყვეტილებებში სკოლის შესახებ მოგვცა მარქს - ენგელს-ლენინ-სტალინის გაშლილი პროგრამა პოლიტექნიკური სკოლის მშენებლობის შესახებ.

პარტიის ამ გადაწყვეტილებათა ცენტრალური იდეას წარმოადგენს ბრძოლა მოსწავლეთა საერთო განვითარების მაღალი ხარისხისათვის, პოლიტექნიზმისათვის, პირველდაწყებითი და საშუალო სკოლების გარდაქმნისათვის, რომელნიც მოწოდებული არიან მოამზადონ უმაღლესი სკოლისათვის მცოდნე ადამიანები, რომელთაც კარგად შესწავლილი ექნებათ მეცნიერების საფუძვლები. ამ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საქმეში ჩვენ მივაღწიეთ ერთგვარ გარდატეხას. ამჟამად სკოლა გადაყვანილია ახალ პროგრამებზე და სწავლების ახალ მეთოდებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას მითითებათა საფუძველზე. ძირითადად აღმოფხვრილია მეთოდიური დამახინჯებანი და „მემარცხენე" პროჟექტორობა; ჩვენი განათლების დარგში გაშლილია დიდი ბრძოლა და მუშაობა სკოლების პოლიტექნიზაციისათვის, რომელიც წარმოადგენს ძირითად საშუალებას ძველი სქოლასტიური სკოლის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. დიდი მუშაობა ტარდება მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად უმაღლეს და საშუალო ტექნიკურ — სკოლაში; საკავშირო ცაკის 19 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე უმაღლესი სკოლა გადადის სწავლების ახალ მეთოდებზე და, პროგრამებზე, გატარებულია უმაღლეს სასწავლებლების და ტექნიკუმების განმტკიცება იზრდება სკოლის ხარისხობრივ ღონისძიებათა დაფინანსირება, (მოწყობილობა, მშენებლობა, სახელმძღვანელოები და სხვ.).

მასიური განათლების და კულტურული ფრონტის ახალი ამოცანები მოითხოვენ კლასობრივი სიფხიზლის გამახვილებას, ბრძოლის გაძლიერებას; ბურჟუაზიულ და წვრილ - ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, გაშლილ ბრძოლას პარტიის პოლიტიკის ოპორტუნისტულ გადამახინჯებათა წინააღმდეგ კულტურულ ფრონტზე.

ერ. ბედია.

წვრილი დაქსაქსული წარმოების გამსხვილების და განსაზოგადოების პროცესი და საგრძნობლად მცირდება შემოტანილი პროდუქციის ხვედრითი წონა.

პირველ ხუთწლედში საშაქარლამო მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზარდა 401,9 პროცენტით (სახელმწიფო მრეწველობის ხაზით). 1927—28 წელს დამზადებული 667,1 ტონა საშაქარლამო ნაწარმის ნაცვლად 1932 წელს დამზადდა 3.347,9 ტონა.

მაკარონის მრეწველობა. მაკარონის წარმოებას საქართველოში ყურადღება მიექცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან. ხუთი წლის განმავლობაში საერთო პროდუქცია გაიზარდა 416,3 პროცენტით: თუ 1927—28 წელს მივიღეთ 715,7 ტონა პროდუქცია, 1932 წელს გვქონდა 3.695,2 ტონა პროდუქცია. 1931 წლიდან თბილისში დაიწყო მაკარონის ახალი ფაბრიკის აგება, რომელიც პირველ ხანებში მოგვცემს 10.000 ტონა პროდუქციას, ხოლო შემდეგში — 16.000 ტონამდე. ქარხანა ამუშავდება მიმდინარე წელს.

ზეთ-სახდელი და საპნის მრეწველობა როგორც ომამდე, ისე ამჟამად საქართველოს ზეთსახდელი და საპნის მრეწველობა თავმოყრილია თბილისში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისის ყველა ქარხნები გაერთიანებული იქნა ერთი მართველობის ქვეშ.

პირველი ხუთწლედის განმავლობაში ზეთსახდელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1926—27 წლის უცვლელ ფასებში გაიზარდა 134.7 პროცენტით: თუ აღნიშნულმა მრეწველობამ 1928 წელს მოგვცა 711.8 ათასი მანეთის პროდუქცია, 1932 წელს პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 1,670,3 ათას მანეთს.

საპონზე მოსახლეობის მოთხოვნილების ზრდამ საჭიროდ გახადა ახალი მექანიზებული ქარხნის აშენება ძველი ქარხნების ნაცვლად. ამ ქარხანამ უნდა მოგვცეს 20.000 ტონა სამეურნეო საპონი თვიურად. მის აგებაზე დაიხარჯება 1.5 მილიონ მანეთამდე.

ერბო-კარაქ-ყველის მრეწველობა. საქართველოში რძის სამრეწველო გადამუშავების ინიციატივა ეკუთვნის უცხოელებს, რომელთაც მიიღეს სუბსიდიები მეფის მთავრობისაგან და მოაწყვეს წარმოება სამრეწველო საფუძველზე.

ომისა და რევოლუციის წლებში ქარხნების ნაწილი დაინგრა, ხოლო ნაწილი თვით მეპატრონეებმა მიატოვეს უპატრონოდ. გარდამტეხ მომენტს წარმოადგენდა 1922 წელი, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა რძის სამრეწველო გადამუშავების დანერგვას არტელებში. საქმე მოეწყო კოოპერატიულ საფუძველზე. ამის შემდეგ იზრდება ქარხნების რიცხვი და 1932 წელს მთელ საქართველოში იყო 157 ქარხანამდე, აქედან 5 მექანიზებული. ყველის და ერბო-კარაქის პროდუქცია 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 15-ჯერ 1913 წელს დამზადებული 5,602,5 მილიონი ერთეულის ნაცვლად 1932 წელმა მოგვცა 84.422,0 მილიონი ერთეული.

შაქრის მრეწველობა. საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ მიღწევას საქართველოში გემო-კვების მრეწველობის შექმნის და განვითარების მხრივ წარმოადგენს ამ დღეებში ამუშავებული აგარის შაქრის ქარხნის ორგანიზაცია.

საქართველოს შაქრის ქარხნის ნედლეული ბაზა შეიქმნა ჭარხლის დასათესად მიწსახკომის მიერ მიწის ფართობის გამოყოფით სტალინისის, გორის და კასპის რაიონებში, აგრეთვე აგარის შაქრის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობის მოწყობით. შაქრის ჭარხლის დასათესად გამოყოფილი ფართობი უდრის 64.070 ჰექტარს, აქედან 24938 ჰექტარი მოსარწყავია.

მიმდინარე წელს ქარხნის პირველად ამუშავებისას აქვს 65.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ნედლეულის აღნიშნული რაოდენობის გადამუშავება დაახლოვებით მოგვცემს 700 ტონა წმინდა პროდუქციას.

მიმდინარე წლის შემოდგომის სეზონისათვის ნავარაუდევია დაითესოს 4.000 ჰექტარი ჭარხალი. ამის მიხედვით მიმდინარე წლის დამლევს ქარხნისათვის გვექნება 410.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

ხარჯთაღრიცხვით შაქრის ქარხნის ღირებულება გათვალისწინებულია 9.717 ათას მანეთის რაოდენობით, დაიხარჯა 9.455 ათასი მანეთი. საწარმოს ფაქტიური ღირებულება იქნება 14.624 მილიონი მანეთი.

მარგარინის წარმოება. მარგარინის ქარხნის მშენებლობა შესრულებულია 80 პროც. ქარხანა მოგვცემს 6.000 ტონა პროდუქციას წლიურად. იგი უნდა ამუშავებულიყო ა. წ. მეორე კვარტალის დასაწყისში, მაგრამ დაფინანსების და ნედლეულის საკითხების გამოურკვევლობის გამო ეს ვადა გადადებული იქნება.

ქარხნის ამუშავების ვადა დაწესებულია ა. წ. სექტემბრის დასაწყისისათვის. საერთო პროდუქცია წლის დამლევამდე განსაზღვრულია 1.188 ტონის რაოდენობით.

თევზის მრეწველობა. საქართველოში თევზის მრეწველობა ჩამოყალიბდა, როგორც სახელმწიფოებრივი მრეწველობა, 1930 წლიდან, როცა დაარსდა სააქციო საზოგადოება „საქთევზი“. საქართველოს ნედლეული რესურსები მარტო ზღვით არ განისაზღვრებოდა. სატბე-საგუბე მეურნეობათა განვითარებას და სხვა საშინაო წყალსაცავების ექსპლოატაციას დიდი მომავალი აქვს 1930 წელს დაჭერილ იქნა 22,7 ათასი ცენტნერი თევზი, 1931 წელს — 45,8 ათასი და 1932 წელს 75,9 ათასი. მუშაობის სამი წლის განმავლობაში დაჭერილი თევზის რაოდენობა გადიდდა 284.4 პროცენტით. თევზის მრეწველობის განვითარების უზრუნველსაყოფად 1933 წელს განზრახულია დაბანდებულ იქნას 1,5 მილიონი მანეთი.

1933 წელს მთელი მრეწველობის, მათ შორის კვების მრეწველობის, მთავარი ამოცანაა შრომის ნაყოფიერების გადიდება. შრომის ნაყოფიერების გადიდება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ელემენტს თვითღირებულების შემცირებაში. ეს ამოცანა, თვითღირებულების შემცირების ამოცანა მთელი სიმწვავით სდგას ჩვენს წინაშე პროდუქციის ხარისხის აუცილებლად გაუმჯობესებასთან ერთად.

პარტიის ამ დირექტივის განსახორციელებლად, პირველ ყოვლისა, საჭიროა კონკრეტული ოპერატიულ-ტეხნიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა, წარმოების ორგანიზაცია ძალების სწორად განაწილების საფუძველზე, გაუპიროვნების და გათანაბრების ლიკვიდაცია, ნამდვილი სამეურნეო ანგარიშის დანერგვა, ყურადღების გაძლიერება—მუშათა საჭიროებისადმი.

საჭიროა არა სიტყვით, არამედ საქმით ვიბრძოლოთ ტეხნიკის სრული დაუფლებისათვის, ყველა ტეხნოლოგიური პროცესების ათვისებისათვის, მოწყობილობის უკეთ გამოყენებისათვის, როგორც შრომის სწორი ორგანიზაციით, ისე მოწყობილობის ტეხნიკური მდგომარეობის, მისი რემონტის და მოვლის გადაჭრით გაუმჯობესებით.

ფრთხილი დამოკიდებულება ყოველი მანქანისადმი, ნამდვილი პასუხისმგებლობის დანერგვა მანქანების მდგომარეობისათვის—აი რა უნდა განვახორციელოთ დაუყოვნებლივ თვითეულ საამქროში, თვითეულ ბრიგადაში.

მეორე ხუთწლედშივე უზრუნველყოფილ უნდა იქნას მე-17 პარტკონფერენციის იმ დირექტივის შესრულება, რომელიც მოითხოვს „კვების მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების ყოველნაირად გაშლას მსხვილი სამანქანო-ინდუსტრიის შექმნის და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული ბაზის საგრძნობლად გაფართოვების საფუძველზე და სულადობრივი მოხმარების გასამკეცების უზრუნველყოფას“.

დ. ქუჩულორია.

გერმანიის ფაშისტური მთავრობის ახალი იერიში კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ

ჰიტლერის მოწოდება ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მიმართ

ბერლინი, 23 თებერვალი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, იმ შეტაკებასთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნაციონალ-სოციალისტებსა და ცენტრის პარტიის წევრებს შორის საარჩევნო მიტინგზე კრეფელდში, ჰიტლერმა მოწოდებით მიმართა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრებს. ჰიტლერი ჰგმობს სხვა ბურჟუაზიულ პარტიების კრებების ჩაშლას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარტიის მთელი მუშაობა მიმართული უნდა იყოს მარქსიზმის განადგურებისაკენ. (ადს).

აკრძალულია მხოლოდ კომუნისტური კრებები

ბერლინი, 22 თებერვალი. კელნში ხელისუფლებამ გააუქმა სოციალ-დემოკრატიული კრებების აკრძალვა და ძალაში დასტოვა კომუნისტების ყოველგვარ კრებების და დემონსტრაციების აკრძალვა. (ადს)

გაზეთებს კვლავ კრძალავენ

ბერლინი, 22 თებერვალი. კვლავ აკრძალეს ერთი კვირით დრეზდენის კომუნისტური გაზეთი „არბეიტერ შტიმმე“. აკრძალულია აგრეთვე 21 მარტამდე კომუნისტური „არბეიტერ ცეიტუნგ“, რომელიც გამოდის მაინის ფრანკფურტში.

ვოლფის სააგენტოს ცნობით, პოლიციამ კილში აღმოაჩინა „არალეგალური ლიტერატურის“ საწყობი. ერთ-ერთი აფთიაქის გაჩხრეკის დროს აღმოჩენილია 42 ათასი ეგზემპლიარი ფურცელი, რომლის შინაარსს აფასებენ, როგორც „სახელმწიფო ღალატს“.

აფთიაქის პატრონი დაჭერილია და სასამართლო პასუხისგებაში აძლევენ.

ამხ. ლიტვინოვის მისალმება წითელ არმიას

ჟენევა, 23 თებერვალი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ლიტვინოვმა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ამხ. ვოროშილოვს წითელი არმიის 15 წლის თავის გამო

„რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭო — ამხ. ვოროშილოვს.

საბჭოთა დელეგაცია განიარაღების კონფერენციაზე უერთდება პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების მისალმებებს სახელოვანი წითელი არმიისადმი მისი ხუთმეტი წლის თავის დღეს. საბჭოთა დელეგაციამ, რომელიც მიწვეულია სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობისათვის განიარაღების მომზადებისა და განხორციელების საქმეში, შეიტანა მთელი რიგი წინადადებები, როგორც სრული განიარაღების, ისე შეიარაღების მაქსიმალურად შემცირების და აგრეთვე სხვა საშუალებათა შესახებ მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად. ჟენევაში 6 წლის აქტიური მუშაობის შემდეგ საბჭოთა დელეგაცია, სამწუხაროდ, იძულებულია აღნიშნოს, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ ჩვენი წინადადებების განსახორციელებლად და თავის მხრივაც არ წამოუყენებია არავითარი პრაქტიკული წინადადებები, რომლებიც შექმნიდენ უშიშროებას ყველა სახელმწიფოებისათვის, ხელს შეუწყობდენ საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებას, ან თუნდაც ახალი ომების საშიშროების შემცირებას. ასეთ პირობებში განსაკუთრებული და მსოფლიო მნიშვნელობა ეძლევა წითელი არმიის ძლიერებას, რომელიც სდგას საბჭოთა კავშირის საზღვრების სადარაჯოზე და ეხმარება საბჭოთა მთავრობას თავისი მშვიდობიანობის პოლიტიკის გატარებაში.

გაუმარჯოს წითელ არმიას და მის პირველ მებრძოლს ამხ. ვოროშილოვს! ვუსურვებთ მას შემდგომ განმტკიცებას ლენინური პარტიის დროშის ქვეშ და მისი ბელადის — ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით. **ლიტვინოვი** (ადს).

საზეიმო სხდომა

საქართველოს ცაკის, ქ. თბილისის და მის რაიონების საბჭოების საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 12 წლისთავის და წითელი არმიის 15 წლის თავის გამო

გუშინ საღამოს, მ. გ.წ. არმიის 15 წლის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 12 წლის შესრულების გამო სახ. ოპერაში მოწვეული იყო სრულიად საქართველოს ცაკის, ქ. თბილისის და მის რაიონების მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების გაერთიანებული საზეიმო პლენუმი, პარტიულ, პროფესიონალურ, კომკავშირულ აქტივთან და წითელ არმიის წარმომადგენლებთან ერთად.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში დაახასიათა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და კერძოდ ჩვენი წითელი არმიის მიღწევები საბრძოლო ტეხნიკის განვითარებისა და ბრძოლის უნარიანობის განმტკიცების დარგში.

ამასთანავე მომხსენებელი შეეხო საბჭოთა საქართველოს მიღწევებს სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა დარგში.

ამხ. მახარაძის შესავალი სიტყვის შემდეგ პლენუმმა აირჩია საპატიო პრეზიდიუმი: ამხ. სტალინის, მოლოტოვის, კაგანოვიჩის, კალინინის, ვოროშილოვის, ორჯონიკიძის, რუძუტაკის, მიქოიანის, კოსიორის, ტელმანის, კუიბიშევის, კიროვის, ბერიას, მახარაძის და მუსაბეკოვის შემადგენლობით.

საპატიო პრეზიდიუმში ამხ. სტალინის არჩევას პლენუმი უდიდესი ოვაციებით შეხვდა. მთელი დარბაზი დგება ფეხზე და საყვარელ ბელადის არჩევას მქუხარე აპლოდისმენტებით ეგებება, რომელიც ოვაციებში გადადის.

საბჭოთა საქართველოს მიღწევების შესახებ გასულ 12 წლის განმავლობაში მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ მ. ტოროშელიძე.

მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა მისალმებები. პირველად პლენუმს მიესალმა წითელ არმიის სახელით კავკ. წითელდროშოვანი არმიის სარდალი ამხ. სმოლინი, ბაქოს საბჭოს და ნავთის მუშების სახელით მიესალმა ამხ. ალეკპეროვი, საქ. ცაკის საშეფო გემის — „წითელი საქართველო“-ს გუნდის სახელით — მეზღვაური ამხ. ვასილჩიკოვი, სტალინის სახ. თბილისის სარემონტო ქარხნის მუშების სახელით —ამხ. შევერიოვი, ერევნის საბჭოს სახელით—ამხ. ვართანოვი, განჯის ქალაქის საბჭოს სახელით — ამხ. მამედოვი და წითელი არმიის თბილისის ნაწილების სახელით—ამხ. ლომაძე.

დასასრულ პლენუმმა მიიღო სათანადო რეზოლიუცია და დაადგინა გაუგზავნოს მისასალმებელი დეპეშები: ამხ. სტალინს, ამხ. სერგო ორჯონიკიძეს, რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს, ამხ. ვოროშილოვს და საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ს.კ.პ. (ბ) საოლქო, ქალაქის და რაიონულ კომიტ. კულტპროპების საყურადღებოთ

ს.კ.პ. (ბ) ცეკას კულტპროპ განყოფილება იუწყება, რომ სოფლად და ქალაქად პარტგანათლების ქსელში უნდა დამუშავდეს თემა „1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამ. კამპანიის პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანები“. თანახმად იმ მეთოდ დამუშავების, რომელიც გამოქვეყნებულია გაზ. „კოლექტივიზაციაში“.

იმავე ქსელში დასამუშავებელ „აგრომინიმუმის“ მეთოდდამუშავებას მიიღებთ უახლოეს დროში.

26 თებერვალს საღამოს 8 საათზე ს.კ.პ. (ბ) ცეკას კულტპროპში (ოთახი № 19) ამხ. კ. ორაგველიძესთან შესდგება პირველ და მეორე საფეხ. სკოლების სახელმძღვანელოების ავტორთა თათბირი, რომელზედაც უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: პ. გრიგოლია, ნ. ძიძიგური, ნ. ბოცვაძე, ნ. შაფაქიძე, დ. დონდუა, პ. ჭანიშვილი, ს. ფურცელაძე, ა. ხარაბაძე, შ. ჩუბინიძე, ი. იმნაძე, ი. სიხარულიძე, ლ. ციხისთავი, ჟ. ფრანგიშვილი, ზ. კლდიაშვილი, შ. რადიანი, ი. შტეინბერგი, ლ. მესხი, ალ. სულავა, ს. ყაუხჩიშვილი, შ. სიხარულიძე, ვ. თოფურია, ვ. ძიძიგური, ივ. ბერიტაშვილი, ერ. ბედია, გ. გოგუაძე, კ. ბერიძე, თოდრია (განათ. მუშაკთა კავშირი), ბ. ბიბინეიშვილი, შ. ოდილავაძე (სახელგამი), შ. გაჩეჩილაძე (განსახკომი), კ. სულაქველიძე, ს. ჯავახიშვილი (სახელგამი).

საქ. კ.პ. (ბ) თბ. კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს 3 დღის განმავლობაში გამოცხადდნენ თბილისის კომ. სააღრიცხვო ნაწილში (ოთახი № 15) ამხ. სიდოროპულოსთან: ამხ. ამხ. მ. მ. აბრამოვი, მ. ა. აბრამიანი, ა. კ. აბულაძე, ე. ა. ავაქოვი, ა. კ. აგაჯანი, პ. ა. აგანიანი, ხ. ხ. ალქეშიანი, ს. ი. ალექსანიანი, ა. პ. ალიამუხოვი, ვძ დ. ამანაშვილი, ვ. მ. აბერიძე, ვ. მ. ამიროვი, ე. ზ. ამირხანოვი, ვ. პ. ანთიძე, გ. მ. არსენიძე, გ. ს. არაქელოვი, ე. ს. აროიანი, ა. მ. არუთინოვი, გ. კ. არუთინოვი, ო. მ. არუთინოვი, ო. გ. არუთინოვი, მ. ს. არუთინიანი, ა. გ. ასანაშვილი, ე. ი. ასათიანი, ვ. ს. ასყულაშვილი, ა. მ. ასოევი, მ. ე. ასათიანი, გ. ო. ატრიანი, ს. დ. ბფაეში, ა. ი. ბადათურია, გ. ს. ბარათაშვილი, ნ. მ. ბარბაქაძე, ე. ც. ბატიევა, ა. ა. ბახტაძე, შ. თ. ბეგლარაშვილი, ა. ს. ბელოშვილი, ი. ლ. ბეკოევი.

სტალინის სახ. რაიკომის კულტპროპგანყოფილება აცხადებს, რომ 26 თებერვალს სალ. 7 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება მიმდინარე პოლიტიკის წრეების, საკანდიდატო და დასაწყის პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა პროპაგანდისტების სემინარი შემდეგ საკითხებზე:

1) დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობა და ამხ. სტალინის სიტყვა ყრილობაზე—სემინარის ხელმძღვანელი ამხ. რემიხანოვი.

2) კლასები და კლასობრივი ბრძოლა. სემინარის ხელმძღვანელი ამხ. ჯაფარიძე.

26 თებერვალს საღამოს 7 ს. ამხ. ორჯონიკიძის სახ. რაისაკონტროლო კომისიის პ-კოლეგიაზე (ძერჟინსკის ქ. № 19 მე-3 სართული) ირჩევა შემდეგი ამხანაგების საქმეები. თუ ქვემოჩამოთვლილი ამხანაგები არ გამოცხადდნენ პ-გამომძიებლებთან, მათი საქმე განიხილება მათ დაუსწრებლად.

ამხ. ა. ა. სარქისოვი, ვ. რ. თათარიშვილი, ლომსაძე („ზაკსნაბსბიტ“), გ. დ. მელიქოვი, ვ. გავაშელი (საქნიღბოსტანი), მ. ქ. ბუხრიკიძე, თ. ფ. ქარუხნიშვილი (აბრეშუმის ფაბრიკა), ე. ი. ქვათაძე, ბ. ი. ხუფერია, ა. ს. ბებუშიანი, ა. ზ. ისრაელოვა, ი. ზ. ისრაელოვა, ბ. ვ. ქაშიაძე, შ. ჰიჩიკაშვილი, მ. მ. გლოველი ა. ნ. კიკტირია, ა. ა. სარუხანოვი, შ. ს. ქვინტრაძე, ე. ი. კოკტუშოვი, ახვლედიანი, დავითულიანი, კილურაძე (სას.-სამ. მუშაკიდან), ვ. მაისურაძე, ჰ. ი. გუზეგიანი (სოც. უზრ. კომისარიატი), გ. მელიქოვი (იქიდან-ში), ლ. მარიძე (მუსტრესტი).

საქ. ა. ლ. კ. კ-ს ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

რომელიც მოწვეული იყო 27 თებერვლისათვის **გადადებულია.**

საქ ა. ლ. კ. კ-ს მდივანი **გიორგობიანი.**

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქცია, ა/წ. 26 თებერვალს იწვევს „კომუნისტი“-ს დამკვრელ

მუშკორთა საქალაქო შეკრებას

საზოგადო ორგანიზატორებთან ერთად.

შეკრებას აუცილებლივ უნდა დაესწრონ ამხ. საქ. ფაბრიკა და [illegible] მრავალტირაჟიან გაზეთების—„წითელი ფეიქარი“-ს და „[illegible]“-ს რედაქტორები.

შეკრება შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე (რუსთაველის პრ. № 16) საღამოს სრულ 6 საათზე.

გაზ. „კომუნისტი“-ს დამკვრელ მუშკორთა ბრიგადების სექტორი.

ყველა დაწესებულების და ორგანიზაციების საყურადღებოდ

(საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილება

იმ მიზნით, რომ თავის დროზე იქნას დამტკიცებული შტატები სახსრებათა ბარათების მისაღებად ყველა დაწესებულებები, ორგანიზაციები და არტელები, გარდა იმ საწარმოებისა, სავაჭრო წერტილების და მშენებლობებისა, რომელთა შტატები და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ორგანოების მიერ,—ვალდებული არიან ა.-წ. 27 თებერვლამდე წარუდგინონ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ორგანოებს საშტატო-საგანაკვეთო უწყისები და ადმ.სამ. ხარჯები (მუშგლეხინის ფორმის მიხედვით).

ამ დადგენილების შეუსრულებლობისათვის დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელები და მთავარი ბუღალტრები მიცემული იქნებიან სასტიკ პასუხისგებაში.

მ.-გ. ინსპექციის სახ. კომისარი: — **გ. სტურუა.**

გამოვიდა და [illegible] ხელისმომწერლებს

ჟურნ. „ბოლშევიკი“ № 12

შინაარსი:

1. ი. სტალინი პირველი ხუთწლედის შესახებ.
2. კ. ორაგველიძე—ამხ. სტალინის მიერ აგრარულ საკითხებზე მომუშავე მარქსისტების კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვის სამი წლის თავი;
3. გ. სტურუა უზრუნველვყოთ რკინისებური პროლეტარული დისციპლინა პარტიაში;
4. ე. ბედია პირველდაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაობის ბოლშევიკური გარდაქმნისათვის;
5. დ. ქუჩულორია—მუშათა მომარაგება სოციალიზმის სამსახურში;
6. ა. ბრეგვაძე—კარლ მარქსის გარდაცვალების 50 წლისთავისათვის.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

7. დ. დემეტრაძე—ამხ. სტალინის „ლენინიზმის საკითხების“ ქართული თარგმანის უხეში დამახინჯების შესახებ.

ოპერა

25 თებ. ორი წარმოდგენა
დღისით [illegible]
საღამოთი 18 ს. 7 წ. ჰოფმანის ზღაპრები

26 თებ. 7 ს. 14 წ. აიდა

27 თებერვალს 7 სთ. 9 წარ. დაისი

პირველ მარტს აბონემენტის გარეშე „სამსონ და დალილა“
ა. ფ. [illegible] გამოსათხოვარი გამოსვლა. 16

რუსთაველის თეატრი
სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით
სეზონი 1932—33 წ.
დღეს, 25 თებერვალს
საბჭოთა საქართველოს 12 წლის თავის და წითელი არმიის 15 წლის თავის აღსანიშნავათ
ანზორ
სალარო ღიაა 11—2, 6—9 საათამდე. დასაწყ. 8 ს. ნ. 196 5 5

მარჯანიშვილის თეატრი
25 თებ. წითელ არმიის 15 წლის თავის და საბჭ. ხელისუფლების 12 წლის თავის აღსანიშნავად როგორ
28 თებერვალი აბონ. გარეშე ოტელო
1 მარტს 7 აბონ. 6 წარ. როგორ
[illegible] 10 მარტამდე. [illegible] ანახლების შ[illegible]—[illegible] პრემიერა.—ჯონ სტრიტ 206

სახკინმრეწვის კინო-თეატრები
სოციალ. კინო ოქტომბერი [illegible] 6 30. 8 30 10 30
დამკვრელი 6. 7 40 10 10
კინო დარბაზი 5 30 7 8 30 10 11 30
რ. ლიუქსემბურგ სახ. კინო [illegible] 6 7 40 9 0 30
სპარტაკი კომინტ. 6 30 8 9 30 11
ტეხპროპაგანდის თეატრი დამკვრელთან 7-30 9
ოქტომბერი დღისით 12
რ. ლიუქსემბურგ სახ (დღისით) 12 ს
საბავშვო კინო დამკვრელთან 12, 2
შემხვედრი
ზღვის ტყვეები № 51
ტარიელ მკლავაძე № 51
ხმოვანი ფილმი შემხვედრი
სასახლე და ციხე
ფილმი [illegible] მეორე [illegible]
26 კომისარი
ახალი ფილმი ახალგაზრდობა იმარჯვებს
25 თებერვ. სეანსები შესდგება კინო-თეატრ დამკვრელში

სახ. განათლების კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი და დაუსწრებელი პედინსტიტუტის დირექცია აცხადებს:
193[illegible] წლის 1-ლ მარტიდან სახ. გან. კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი და დაუსწრებელი პედინსტიტუტი ხსნის
საღამო [illegible] მოსამზადებელი 3 თვიან კურსებს 9 წლედის ბაზაზე
პირობების გაგება და ჩაწერა კურსებზე იწარმოებს 0.II-დან ყოველ დღე 6 ს. 7-დე პედინსტიტუტში ლომინაძის ქ. № 5
921 ინსტიტუტის დირექცია.

27 თებერვლიდან
კინო თეატრი „მეცნიერება და ტეხნიკა“
ყოფ. „დამკვრელის“ შენობაში
ანახლდება დადგმა ცნობილი ფილმის
აბორტი
ფილმის ავტორი ექ. გალკინი.
შესავალი სიტყვა ექ. ზუბტურიძის
„ორსულობის საწინააღმდეგო უახლესი საშუალებები“
(სეანსები) დასაწყისი 6 ს. 30 წ. 8 ს. და 9 ს. და 30 წ.
მიიღება ადგილკომებისაგან განცხადებები კოლექტიურ დასწრებაზე. ნ 215

სრულიად საქართველოს წითელ გვარდიელთა, პარტიზანთა და 1905 წ. რევოლ. რაზმელთა საბჭო
აცხადებს, რომ ა-წ. 25 თებერვალს 10 საათზე, საბჭოს კლუბში (ელბაქიძის დაღმართი № 12)
მუშურ-გლეხური წითელი არმიის 15 წლისთავის და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ოქტომბრის 12 წლისთავის აღსანიშნავად
მოწვეულია წითელგვარდიელთა-პარტიზანთა და 1905 წ. რევოლიუციის რაზმელთა, საბჭოს მუშა-მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრთა
საზეიმო სხდომა
უფ. პრეზიდიუმი.

ა-წ 26 თებერვალს საღამოს 7 საათზე
ქ. თბილისში 1-ლი ძაისის ქ. № 10 (ყოფ. კათოლიკების)
შესდგება
[illegible]თან არსებულ საქ. მშრომელ ებრაელთა
კულტურის სახლის საზეიმო გახსნა
შესვლა მოსაწვევი ბილეთებით.
922 გამგეობა.

ექიმი ი. ქევიშვილი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობები დღ. 8—9 ს. და სალ 6—8 ს.
მისამართი: კამოს ქ № 72 (ყ. დიკომთავრ.) ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ.
13—1 29

ექიმი დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი, მოშლილობა [illegible] „ბრონქო-ეზოფაგოსკოპია“ ჭონქაძის ქ. № 9 (ყოფ. გუდოვიჩის—სოლოლაკში) მიღება საღამოს 6—7 საათამდე ტელ. 5-94 5—

ექიმი ქ. ი. ჯალალოვი
კანის და ვენერ. სნეულებანი სიფილისი [illegible] ტრიპერი და მისი შედეგები. მამაკაცთა მიღება დილ 8 9 ს. სალ. 7—8 ს. ქალების და ბავშვების 6 7 ს. სალ. კამოს ქუჩა № 19, ტელეფონი 19-50 2—25

ექიმი ი. მ. პარმა
შინაგანი სნეულებ. (სპეც ნივთიერებათა ცვლის და კუჭის ნაწლავის) იღებს სალ. 7—8 საათამდე, ლომინაძის (ყ იზმაილოვის) ქუჩ. № 8 1521

რ. ლიუქსემბურგის სახ. კინო-თეატრი
7 თებერვლიდან ყოველდღე
დიდი ხმოვანი მოლაპარაკე ფილმი
შემხვედრი
ავტორი [illegible] ერმლერი და იუტკევიჩი
სეანსების დასაწყისი სალ. 6 30, 8-30, 10 30
ნ. 219

საზელგამი
თბილისი, ალმასიანის ქ. № 7.
ქაღალდი
— და —
ქაღალდის ნაწარმოები
(ფართო მოხმარება)
„სოიუზბუმსნაბსბიტ“-ის ა-კ. განყოფილებასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე
იყიდება თავისუფლად ყველა მოქალაქეებზე
ყველა ჩვენს მაღაზიებში და განყოფილებებში.
2-1 ნ. 213 სავაჭრო სექტორი.

საქართველოს ფინსახკომი

აცხადებს საქართველოს ს. ს. რ ფარგლებში არსებულ ყველა საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციების საყურადღებოდ,

რომ თანახმად § 29 პ. „ბ“ საქართველოს ფინსახკომის ინსტრუქციისა საბინაო და კულტურულ საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის ქალაქებსა და სოფლებში 1933 წ. გამოსალების ჩატარების შესახებ, ისინი ვალდებული არიან თებერვლის პირველი ნახევრის, ივლისის პირველი ნახევრის და სექტემბრის პირველი ნახევრის ხელფასის გაცემასთან ერთად წარუდგინონ რაი (ქალაქის) ფინგანს დაწესებულებათა და ორგანიზაციების ადგილმდებარეობის მიხედვით ცნობები კულტგამოსალების გამოანგარიშების და გადახდის შესახებ ქვემოაღნიშნული ფორმით:

რესპუბლიკა ფორმა № 1.

ქალაქი (რაიონი)

ცნობები კულტგამოსალების გამოანგარიშების და გადახდის შესახებ

„......“......... 1933 წ.

(წარმოების დაწესებ. ან ორგანიზაციის დასახელება)

თვიური ხელფასი მანეთებში	პირები, რომელთა ხელფასი 1932 წლ. სას. სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის დროს			
	მხედველობაში არ იყო მიღებული (ე. ი. უშეღავათოთ დაბეგრილი)		მხედველობაში იყო მიღებული (ე. ი. 15% შეღავათით დაბეგრილი)	
	პირთა რაოდენობა	გამოსალების თანხა	პირთა რაოდენობა	გამოსალების თანხა
1	2	3	4	5
75 მანეთამდე				
75 მან-დან 100 მან-დე				
100 „ „ 125 „ „				
125 „ „ 150 „ „				
150 „ „ 200 „ „				
200 „ „ 250 „ „				
250 „ „ 300 „ „				
300 „ „ 400 „ „				
400 „ „				
ს უ ლ ...				

მათ რიცხვში გამოსალებით დაბეგრილი (1-ლ ბწკარში აღუნიშნავი).

მათგან: მუშები. მოსამსახურეები. შინამრეწველები.

გამოსალების სახბიუჯეტის ანგარიშზე გადარიცხვის შესახებ განკარგულება მიეცა .... სახბანკს .... 1933 წლ. № ...... ან გამოსალები შეტანილია .... სახბანკში .... 1933 წლ. ქვითარი № ...

ხელ ერა:

ის პირები, რომლებიც არ შეასრულებენ ამ მოთხოვნილებას, პასუხისმგებელი არიან თანახმად გადასახადთა და გამოსალებთა აკრების დებულებისა.

მასიური გადასახდელების სექტორის ხელმძღვანელი, კოლეგიის წევრი—**შონია**

ნ. 192

[illegible] ბანკის [illegible] განყოფილების თანამშრომლები [illegible] უხარისხით იუწყებიან, რომ 10 თებერვალს [illegible] მოსამსახურის [illegible] დროს უეცრად გარდაიცვალა [illegible]
თედორე ლიუდვიგის-ძე რუსეცკი

[illegible] რაიაღმასკომის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით ამცნობს [illegible]
ევგენია მიხეილის ასულ ბადრიაშვილის
გარდაცვალებას. 914

ღრმად დამწუხრებული მშობლები ბალვა, ლუბა, ძმა [illegible] ნაიშვილები [illegible] იუწყებიან საყვარელ
პატარა ეთერიკოს
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 25 თებერვალს [illegible]. 91[illegible]

დამწუხრებული მეუღლე: [illegible] ცოლ-შვილით, და [illegible] იუწყებიან [illegible]
პავლე ლუკას ძე უნგიაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა [illegible] 26 თებერვალს 4 საათზე. 919

დამწუხრებული დავით ზურაბიშვილი დედით [illegible]
დარიკო ზურაბიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 26 თებერვალს 5 [illegible] სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. [illegible] № 13. 913

რუსთაველის თეატრის სამხატვრო [illegible] იუწყება თეატრის სტუდიის სახელოვანი მსმენელის ამხ.
დავით ბახტაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება [illegible] 2[illegible] თებერვალს. 3 საათ. დაკრძალვა [illegible]. 9 2

თავზარდაცემული დედა კალისტრინა ძმები [illegible] იუწყებიან [illegible]
ბენედიქტე (ბეხია) აპოლონის-ძე სამხარაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა [illegible] 21 თებერვალს. [illegible] 6 212

დამწუხრებული [illegible] იუწყებიან [illegible]
კლიმენტი გრიგოლის-ძე წეროძის
უდროოდ [illegible]. დასაფლავება 25 თებერვალს კუკიის სასაფლაოზე 5 საათზე. 908

[illegible]
გიორგი ტორაძის
გარდაცვალება [illegible] 909

[illegible] იუწყებიან რომ [illegible]
ნიკოლოზ დავითის ხოშტარიას
სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 26 თებერვალს 5 ს ქ. ფოთში [illegible] სასაფლაოზე. 910

მამა [illegible] ღრმა მწუხარებით იუწყებიან [illegible]
ვალერიან გიგინეიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა [illegible] 19 თებერვალს. 914

[illegible]
ისიდორე ზურაბის-ძე ჯიბლაძის
უდროოდ გარდაცვალებას. 9[illegible]7

[illegible]
აქსენტი ამბაკოს-ძე მახარაძის
[illegible] 9[illegible]6

[illegible] პატარა
გულიდას
გარდაცვალებას. დასაფლავება 25 თებერვალს. 907

[illegible]
სამსონ გიორგის-ძე სიხარულიძის
გარდაცვალება. დაკრძალვა ქ. სოხუმში 25 თებერვალს. 914

დამწუხრებული რძალი თამარა, შვილიშვილები [illegible] იუწყებიან
ივლიტა ჩხიკვიშვილი-ულენტის
გარდაცვალებას. დასაფლავება [illegible] 26 თებერვალს [illegible] 91[illegible]

მშობლები: მარტიროსი და ნატალია, მეუღლე თამარი, ძმები [illegible]
ინჟ. მიშა არუთინოვის
დაკრძალვა [illegible] 920

სამწუხარო [illegible]
ოლია კიკნაძე-შონიას
უდროოდ გარდაცვალებას [illegible] № 3 9[illegible]6

[illegible]
ვერა (ბუკას)
უდროოდ [illegible] 25 თებერვალს. 914

ღრმად დამწუხრებული [illegible]
ალათი გვინცაძის
გარდაცვალებას [illegible] სასაფლაოზე 2[illegible] თებერვალს 5 ს 9[illegible]8

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქუჩა № 6 მთავლიტის რწმუნებული ა 129